სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 3 თებერვალი 1999 №17 (790) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაშვილი დანის პირზე

გერმანული „ფრაიბურგის“ ქართველ ბომბარდირს ოპერაცია ემუქრება

მეგრელაძე ისევ მხნეა

42 წლის თავდამსხმელი თამაშის მიტოვებას ჯერ არ აპირებს

ფიფას რჩეულნი

ეროვნულ ნაკრებთა თავკაცებმა 1998 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელეს

ნბა 53-ე სეზონის წინ

ვინ რას წარმოადგენს ატლანტიკის დივიზიონში

ვითა — სდასუ. შოთა უძილაური (ბურთით) სდასუელთაგან კვლავაც საუკეთესო იყო, მაგრამ ჩემპიონებს ბევრიც ვერა დააკლო

12 ტური

სტუ 103:94 თსუ
ვითა 86:74 სდასუ
ასკ 77:87 აზოტი

აზოტი	12	12	0	986:840	24
სტუ	12	10	2	928:853	22
ვითა	12	8	4	633:568	19
თსუ	12	7	5	984:937	19
დინამო	12	7	5	957:931	19
სდასუ	12	6	6	859:908	18
შევარდენი	12	4	8	813:880	16
მაკაბი	12	3	9	896:956	15
კოლხა	12	3	9	800:952	15
ასკ	12	0	12	231:262	12

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

აზოტმა ისევ გამოისვირნა

მისი მეტოქეები კი ერთმანეთს არაფერს უთმობენ

გუშინ ვერის ბაღში ექვსგზის ჩემპიონმა „ვითამ“ სდასუელებს ხუთმატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა

იხილეთ მეათე გვერდი

— დიდი სინანულით გაცნობებთ, რომ ფეხბურთის ასოციაციამ და გლენ ჰოდლმა კონტრაქტი გააუქმეს — აცნობა ლონდონში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას ამ ორგანიზაციის პრესმდივანმა დევიდ დეივისმა. ეს იმას ნიშნავს, რომ 1996 წელს ინგლისის ეროვნული გუნდის თავკაცად დანიშნული

ჰოდლი მოხსნეს

ასეთი რამ 1974 წლის შემდეგ არ მომხდარა, როდესაც იგივე ბედი სერ ალფ რამსეის ეწია.

დეივისის თქმით, ინგლისელთა აწ უკვე ყოფილ მწვრთნელს დროებით ასოციაციის ტექნიკური დირექტორი ჰოვარდ უილკინსონი შეცვლის. დაწვრილებით ამ სკანდალური ისტორიის შესახებ მე-7 გვერდზე შეიტყობთ.

REUTERS ლონდონიდან

იაშვილი დანის პირზე

საქართველოს ნაკრებისა და გერმანული „ფრაიბურგის“ საუკეთესო თავდამსხმელი ალექსანდრე იაშვილი კვლავ ექიმების პაციენტი გახდება. მას ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და უახლოეს მომავალში საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდება.

ჩვენებური, ახლა, მედიკოსების საბოლოო დიაგნოზს ელის და უახლოეს დღეებში გადაწყდება, თუ რამდენ ხანს დაისვენებს ბუნდესლიგაში ექვსი გოლის გამტანი ქართველი ფეხბურთელი.

წუხელ, თავად იაშვილმა გვითხრა, რომ იძულებითი არდადეგები სავარაუდოდ ექვს თვეს გამიგრძელდებაო. ღმერთმა ნუ ქნას და იაშვილის ვარაუდი თუ გამართლდა, მაშინ, მისთვის ესოდენ წარმატებული სეზონი ფაქტობრივად დამთავრებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

საწყენი იქნება, მეტად საწყენი, ასეთი ბუნდესლიგური დებიუტი ასე უიღბლოდ რომ დაუმთავრდეს ჩვენებურს. თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ ექიმები ამჯერადაც შეცდებიან და იაშვილი კვლავ მოასწრებს ბუნდესლიგის მეორე წრეში თამაშს.

რაც შეეხება კიდევ ერთ ტრავმირებულ ქართველს, კახა ცხადაძემ უკვე დაიწყო ინტენსიური მომზადება, სრული ფიზიკური დატვირთვით ვარჯიშობს და ალბათ, მომავალი კვირიდან „სიტის“ შემადგენლობაშიც ითამაშებს.

ძოგა ინასარიძე



ფოტო ალექსანდრე ბერეზნაკის

სულ ახლახან ჩვენთან საუბრისას კიევის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ გვითხრა, ერთ-ერთ ქართველ ფეხბურთელს თვალი დავადგიო, მაგრამ მისი ვინაობის გამხელას ახლა ნუ მთხოვთ, როცა ეს საკითხი გაირკვევა, ყველაფერს მერე გაცნობებთო. ამით დაიმედებულმა ცოტა ხნის შემდეგ კიევის „დინამოს“ ბაზაზე დავაპირე მისვლა, იქნებ რამე შევიტყო-მეთქი, მაგრამ არ დამცალდა. ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ „დინამოში“ ახალგაზრდა ქართველი ლეგიონერი, ნახევარმცველი ლევან გვაზავა ისინჯება. ჰოდა, მეც რაღა დამრჩენოდა? პირდაპირ ლევანს მივაშურე და ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე გამოველაპარაკე.

წითელი სამშაბათი სპორტის სასახლეში

მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში

IV ჯგუფი
სიონი 1:2 არსენალი 2

1:0 სულთანოვი (2), 1:1 ლ. კაპანაძე (28), 1:2 ეგაძე (38)

გაფრთხილება: დვალიშვილი, დალაქიშვილი (ორივე სიონი); ზ. დავითაშვილი, ლ. კაპანაძე, გაგუა (ყველა არსენალი 2)

გაძევება: გაგუა (11); ა. კაკაშვილი (19), ზ. დავითაშვილი (36, ყველა არსენალი 2)

მსაჯი: ს. შალამბერიძე

არსენალი 2	2	2	0	0	5:3	6
სიონი	2	0	0	2	3:5	0

III ჯგუფი
გორდა 4:3 დილა

0:1 ციცქიშვილი (6), 0:2 ლ. გოჩაშვილი (7), 1:2 კ. ალადაშვილი (28), 2:2 კ. ალადაშვილი (30), 3:2 რ. მახარაძე (33), 4:2 კ. ალადაშვილი (36), 4:3 ციცქიშვილი (40)

გაფრთხილება: რ. მახარაძე, დ. მენთეშაშვილი (ორივე გორდა), ფეზუაშვილი, რ. ხაჭაპურიძე (ორივე დილა)

გაძევება: რ. ხაჭაპურიძე (32, დილა)

მსაჯი: ზ. დოლიძე

თსუ	1	1	0	0	3:1	3
გორდა	2	1	0	1	5:6	3
დილა	1	0	0	1	3:4	0

II ჯგუფი
ლოკომოტივი 4:0 ოდიში

1:0 წიფწიავაძე (8), 2:0 ხორგუაშვილი (36), 3:0 ვ. ღუდუშაური (38), 4:0 ხორგუაშვილი (40)

გაფრთხილება: კოტორაშვილი, ბალაშვილი (ორივე ლოკომოტივი), აფაქიძე (ოდიში)

გაძევება: დავით ჯანელიძე (18, ლოკომოტივი)

მსაჯი: ო. გუნთაძე

ლოკომოტივი	1	1	0	0	4:0	3
სამგურალი	1	1	0	0	6:3	3
ოდიში	2	0	0	2	3:10	0

I ჯგუფი
დინამო 2 1:1 მერანი

1:0 აფციაური (9), 1:1 გელა ქორიძე (29)

გაფრთხილება: აფციაური, ხიზანიშვილი (ორივე დინამო 2), გელა ქორიძე, ლომაია (ორივე მერანი)

გაძევება: აფციაური (34, დინამო 2)

მსაჯი: ა. შილაკაძე

ვიტ ჯორჯია	1	1	0	0	6:0	3
დინამო 2	1	0	1	0	1:1	1
მერანი	2	0	0	2	1:7	0

ტურნირის პირველ დღეს ოთხ თამაშში არცერთი, ხოლო გუშინ ამდენივე მატჩში ერთბაშად 6 ფეხბურთელი მიაბრძანეს მოედნიდან, აქედან სამი, „სიონი“ — „არსენალი 2“-ის არბიტრმა სოსო შალამბერიძემ გაამევა.

თავდაპირველად მეოთხე ჯგუფის სწორედ ეს გუნდები შეხვდნენ. ვინაიდან ხსოვნის ტურნირს გურულები გამოაკლდნენ, ბოლნისელები და არმიელები ხელმეორედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. არმიელებს ნახევარფინალში გასასვლელად ფრეც ჰყოფნიდათ, მაგრამ ბოლნისელები არაფრის დათმობას აპირებდნენ, მით უმეტეს, უკვე მეორე წუთზე სულთანოვის მიერ საეჭვოდ გატანილი გოლით (ხელი მიახმარა) იგებდნენ კიდეც. სწორედ ამ მომენტმა აღაშფოთა არმიელები და მსაჯმა სოსო შალამბერიძემაც ერთმანეთის მიყოლებით სამი არსენალელი გაამევა. დასჯილთაგან ყველაზე მეტად კაკაშვილი შფოთავდა, რამაც მდგომარეობა მეტად დაძაბა, მაგრამ მსაჯს მშველელებად ისევ არმიელები მოევლინნენ — მათ ორი ბურთი გაუტანეს მეტოქეს. მატჩის მიწურულს ბოლნისელები გააქტიურდნენ, მაგრამ მეკარე ზვიად კუპატაძეს ვერაფერი მოუხერხეს.

მეორე მატჩში თსუ-სთან პირველ გუშინწინ დამარცხებული რუსთავის „გორდა“ გორის „დილას“ გაეჯიბრა. პირველი ნახევარი გორელებმა ციცქიშვილისა და ლევან გოჩაშვილის გოლებით მატჩში საუკეთესო კი უეჭველად კახა ალადაშვილი იყო, რომელმაც ჰეთ-თრიქიც შეასრულა და ულამაზესი გოლითაც დაგვამახსოვრა თავი.

არა, გოლი მართლაც დიდებული იყო. წარმოიდგინეთ, კართან მახვილ კუთხით მდგომს ზურგსუკან სამი(!) მეურვე გედგას, ამ დროს ბურთი მკერდით გაიჩერა და „მაკრატელათი“ დაარტყა ბურთი შორეულ ცხრიანში. მართალია, რუსთაველები ბრძოლას გამოეთიშნენ, მაგრამ ტურნირს ზღაპრული გოლი აჩუქეს.

მეორე ჯგუფში ჩაერთო ისედაც ძლიერი და ბოლო ხანს უფრო მოძლიერებული თბილისის „ლოკომოტივი“. ანგარიშით თუ ვიმსჯელებთ, რკინიგზელებს თითქოსდა ადვილად უნდა მოეგოთ ოდიშარებთან, მაგრამ ვინც გუშინ სპორტის სასახლეში თავად იხილა პაექრობა, ვერ იტყვის, ასე იყოო. სოსო ჭედიას პირტიტველა შეგირდებმა არაფერი დაუთმეს თემურ მახარაძის გამოცდილ მოთამაშეებს, მაგრამ ხომ გაგიგიათ, ძალა აღმართს ხსნავსო. წიფწიავაძე, ვარლამ კილასონია, ღუდუშაური, ბალაშვილი, გოგოლაძე უფრო შორიდან ცდილობდნენ ახალგაზრდა გოგიას კარის დალაშქვრას, მაგრამ ხან მეკარე ყონაღობდა, ხანაც მომხვდურნი სცოდავდნენ. თუმცა კლასმა მაინც თავისი გაიტანა „ოდიში“ ბოლო ოთხ წუთში გატყდა. ერთიცაა, თემურ მახარაძემ „ჰოკეის პრინციპით“ იმოქმედა — რკინიგზელები ხუთეულებად იცვლებოდნენ.

ბოლოს კი მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში საქართველოს უცვლელი ჩემპიონიც ჩაება. ოღონდ მეორე, მოსკოვმოვლილი შემადგენლობით. ახალგაზრდა დინამოელთა მეტოქე წინა დღეს ვიტელების მიერ სასტიკად განადგურებული „მერანი“ იყო. მატჩი საინტერესოდ წარიმართა, ორივე გუნდის ფეხბურთელებს ჰქონდათ საგოლე შანსი, მაგრამ კოლეგები — დინამოელი ნიკურაძე და მერანელი ლომაია შეუდარებელნი იყვნენ. გამოირჩა მინი-ფეხბურთში „ჭიპმოჭრილი“ გელა ქორიძეც, რომელმაც ლამაზი გოლი გაიტანა და ფინტების ფოიერვერკიც გვაჩვენა.

ჰო, ტურნირს ენერგეტიკოსები ნამდვილად არ წყალობენ. ისედაც გაყინულ სპორტის სასალეში შუქი რამდენჯერმე გამოირთო. დღეს ტურნირის მესამე დღეა, არმიელებს დანარჩენი სამი ნახევარფინალისტი შეუერთდებათ, ხოლო ოთხის ნაცვლად სამი მატჩი გაიმართება.

გიორგი ვაშაკიძე



ბადრი ჯობლაძის ფოტო

რუსთაველმა კახა ალადაშვილმა გორელებს ჰეთ-თრიქიც გაუტანა და მაკრატელაც

ლევან გვაზავა: მზად ვარ, ჩემს ჯერს ვუცადო

— ლევან, როგორ მოგნახეს კიევის „დინამოს“ სელექციონერებმა?

— ეს ჩემი მენეჯერის ვიქტორ ვარდიძის დამსახურებაა. სწორედ მან მაცნობა, რომ ჩემით თურქული „ტრაბზონსფორი“ და კიევის „დინამო“ იყვნენ დაინტერესებულნი. ბევრი არ მიფიქრია და „დინამო“ ავირჩიე.

— რამ განაპირობა შენი არჩევანი? უკრაინაში თურქეთზე უკეთესი პირობები შემოგთავაზეს?

— არა, საქმე ეს არ არის. უბრალოდ, მე მიმაჩნია, რომ აქ უფრო მაღალი კლასის ფეხბურთის თამაშს შევძლებ, ვიდრე „ტრაბზონსფორში“. იგივე მითხრა ჩემმა მენეჯერმა და შინაურებმაც მომიწონეს არჩევანი. ასე რომ, მაინცდამაინც არ მიყოყმანია.

— საწვრთნელ შეკრებაში თუ მონაწილეობდი?

— კიევში ახალი წლის წინ ჩავედი და გუნდი გერმანულ რუიტში უკვე ოთხი დღის გამგზავრებული იყო. ასე რომ, ცოტა ხნის ცდამ მომიწია. დროზეც შემეძლო კიევში ჩასვლა, მაგრამ პასპორტთან დაკავშირებულმა პრობლემებმა შემიშალა ხელი, როდესაც „დინამო“ გერმანიიდან დაბრუნდა, უკვე მომეცა მინი-ფეხბურთის ტურნირში მონაწილეობის საშუალება. მერე კი ერთმცირე საწვრთნელ შეკრებასაც დავესწარი და გუნდთან ერთად ყველა ვარჯიში ჩავატარე.

— გუნდში როგორ მიგიღეს?

— ჩინებულად. კიევი ლამაზი ქალაქია. მომწონს აქაურობა. „დინამოშიც“ ასეთივე ატმოსფერო სუფევს. მომზადებისთვისაც ჩინებული პირობები მაქვს. ასე რომ, ჯერჯერობით საყვედური არაფერზე მეთქმის. „დინამო“ ძალიან შეკრული და მეგობრული გუნდია.

— კალაძე თუ ნახე?

— რა თქმა უნდა. კიევში ძალიან პოპულარულია და გუნდშიც დიდ პატივს სცემენ.

— საინტერესოა, როგორ უძლებ ლობანოვსკის საქვეყნოდ განთქმულ, ფიზიკურად ძალიან დატვირთულ ვარჯიშებს?

— დატვირთვები აქ მართლაც უდიდესია. საქართველოში, არც „კოლხეთში“, არც თბილისის „დინამოში“ და არც ახალგაზრდულ ნაკრებში, მსგავსი არაფერი მინახავს. საერთოდ, აშკარად შეიმჩნევა, რომ უკრაინაში მარტო კიევის „დინამო“ კი არა, სხვა გუნდებიც ძირითადად ფიზიკურ მომზადებაზე ამახვილებენ ყურადღებას. ჯერჯერობით ასეთი ფეხბურთი ჩემთვის, ცოტა არ იყოს, უცხოა. მით უმეტეს, რომ უმნიშვნელოდ საზარდულიც მაწუხებს. თუმცა მე მაინც იმედიანად ვარ. ადამიანი ხომ ყველაფერს ეჩვევა და მეც მივეჩვევი.

— რომელ პოზიციაზე გცდიან უკრაინელები?

— ამას დანამდვილებით ვერ ვიტყვი. საწვრთნელ მატჩებში სულ სხვადასხვა ადგილზე მიწევდა თამაში.

— როგორ ფიქრობ, დატოვებს ვალერი ლობანოვსკი კიევში? ამის თაობაზე ვინმესთან ხომ არ გისაუბრია?

— კონკრეტულად არავინ დამლაპარაკებია. ჯერჯერობით მაკვირდებიან, მაგრამ ჩემთვის არაფერი უთქვამთ.

— თუ დატოვეს, ხანგრძლივ კონტრაქტს გააფორმებ?

— აბა, ჯერ რა დროს ამაზე ლაპარაკია. მხოლოდ ერთი რამ ვიცი. თუ კიევში დავრჩები, ამით ყველაფერი არ მოგვარდება — ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებისთვის მომიწევს ბრძოლა, მაგრამ შემიძლია დავიცადო. ვიმუშავებ და ჩემსას მაინც მივაღწევ.

აი, ასეა საქმე. ურიგო პერსპექტივა ნამდვილად არ არის და თავად ლევანიც ძალიან ოპტიმისტურად არის განწყობილი. ამის საფუძველს წარსულში საბჭოთა კავშირის ნაკრების და კიევის „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი მცველის, ამჟამად კი კიევის „დინამოს“ ერთი-ერთი მწვრთნელის ანატოლი დემიანენკოს სიტყვებიც იძლევა: „მიუხედავად იმისა, რომ ლევანი ჩვენებურ რთულ კლიმატურ პირობებში თამაშს ჩვეული არ არის, მაინც კარგად ჩანს მისი მდიდარი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი, რითაც ქართველი ფეხბურთელები ყოველთვის გამოირჩეოდნენ. გვაზავას გუნდში დატოვება-არდატოვების საკითხი საბოლოოდ ლობანოვსკის გადასაწყვეტია, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი შეძლებს „დინამოში“ ადგილის დამკვიდრებას“.

ჩვენც რაღა გვეთქმის? იმედით ალვივსოთ და ცოტაც დავიცადოთ. იქნებ უახლოეს მომავალში კიევის „დინამოში“ მეორე ქართველიც ვიხილოთ.

ირაკლი სირაძე კიევიდან
საინფორმაციო-ანალიტიკური ბიურო „გეო“
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

ფირმების
რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული
კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

ავსტრალიური კვარციტი ბოლნისელთა მფარველი?

ამას წინათ „სარბიელში“ ბოლნისის „სიონის“ შესახებ გაუწყებდით, შესაძლოა ამ ქვემოქართლურ გუნდს ავსტრალიელები მოევლინონ მფარველად. საუბარია კაზრეთის მადნეულზე, უფრო სწორად, ამჟამად იქ მოღვაწე ავსტრალიურ ფირმა „კვარციტზე“. ავსტრალიელები თურმე ძალიან არიან დაინტერესებულნი ოქროს საბადოებით და ბუნებრივია, ჯიბის გასქელება არც ბოლნისელებს აწყენთ.

კლუბის ხელმძღვანელებიც დაფაცურდნენ და ოკეანისგაღმელებთან აქტიური მოლაპარაკება გამართეს, ეგებ სპონსორობა გაგვიწიოო. თქვენ თენს საქმეს მიხედეთ, ჩვენც მოგვხედეთ და ვალში არ დაგრჩებითო. ავსტრალიური „კვარციტის“ წარმომადგენლებიც დაფიქრებულან და ბოლნისელებისთვის შემოუთვლიათ, ვნახოთ, შესაძლოა დაგთანხმდეთო.

ჰოდა, ამბის უკეთ გასაგებად „სიონის“ პრეზიდენტ შუქრი დევნოზაშვილს მივმართეთ. იგიც არ დაგვზარდა და გვითხრა:

— ჩვენ მათ შევხვდით და აქციების პაკების გარკვეული პროენტი შევთავაზეთ. დამფუძნებელი ძირითადად ფირმა „კვარციტი“ უნდა ყოფილიყო. ყველაერი ამ ფირმის პრეზიდენტთან უნდა შეთანხმებულიყო. ეს საქმე, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და ახლა ავსტრალიელებთა საბოლოო პასუხს ველოდებით. საკითხი, ალბათ, დადებითად გადაწყდება, ხუთი-ექვსი თვის წინ პირადად შევხვდი „კვარციტის“ პრეზიდენტს და დავპირდი, თქვენი წილი 100 000 დოლარამდე იქნებამეთქი, რაზეც მან თანხმობა განაცხადა. აქამდე, როგორც შეგვეძლო, თავი გავიტანეთ, მაგრამ ახლა ფინანსური მდგომარეობა გაგვირთულდა და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ავსტრალიელებთან პარტნიორული ურთიერთობა დავამყარეთ. ჩვენ მათ გუნდის აქციათა პაკეტის 60 პროცენტი შევთავაზეთ, ისინიც თანახმა იყვნენ. ახლა რას ფიქრობენ, ნამდვილად არ ვიცი, ყველაფერი ამ კვირაში გაირკვევა.

მთლიანად ავსტრალიელებზე დაყრდნობა, რა თქმა უნდა, გაუმართლებელია. რაღაც რეზერვი კი გაგვაჩნია, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ავსტრალიელების მიერ გუნდის სპონსორობა მეტად მნიშვნელოვანია. ფირმა „კვარციტი“ გახლავთ სოლიდური, ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც თამამად შეიძლება ენდო. თუ ყველაფერი დადებითად გადაწყდა და მათაც გარკვეული წილი ჩადეს ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ჩადებული თანხის ამოღებას გუნდისგან შედეგებით მოითხოვენ. ამ შემთხვევაში გარკვეული პასუხისმგებლობა გაჩნდება. ავსტრალიელები შეგვპირდნენ, რომ საწყის თანხებს თებერვალში მოგვცემენ. მათ გვთხოვეს გრაფიკი, თუ რისთვის გაანაწილებენ ამ თანხას. ჩენც გავარკვიეთ ყველაფერში და ისინიც დაგვთანხმდნენ.

ბიორგი ვაშაკიძე

მერაბ მეგრელაძეს ფეხბურთის თამაში 42 წლისასაც არ მოსწყენია

ბაბუ, ბაბუ, ბაბუა...

„გივი კილაძეზე“ ენაკვიმატ ხალხს რა გამოლევს. არ დამავიწყდება, ქუთაისში მერვე ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ბოლო თამაშია. გვარს არ გაგიმხელთ და სტუმარი გუნდის მცველი საკუთარი საჯარიმოს წინ მერაბ მეგრელაძეს ეუხეშა, ტორპედოელს სარმა გამოსდო და ძირს დასცა. ჰოდა, მაშინ იყო, იმ მცველს ტრიბუნიდან ვიღაცამ „კულტურულად“ შეუკურთხა, შენ არ მოიყარე მაგის ხნის, მამისტოლა კაცს რას ჰკადრებო. ვინც გაიგონა, მაგრად კი გადაიხარხარა...

არა, მერაბ მეგრელაძე მართლაც რომ უნიკალური მოვლენაა ქართულ ფეხბურთში. ახალგაზრდობაში რაც უკეთებია, ხომ უკეთებია. მეგოლის სახელი ჯერ კიდევ საბჭოური საქართველოს პირველობაზე დაიგდო, მერე საკავშირო ჩემპიონატების უმაღლეს თუ პირველ ლიგებში „ტორპედოს“ და „გურიას“ იმედი იყო, მაშინაც სისხლს უშრობდა მეკარეებს, ბევრი გაჰქონდა. უფრო აქეთ, ასაკში შესულმაც ვერ მოისვენა, 34 წლისამ ეროვნულ ჩემპიონატში გააგრძელა თამაში. თან როგორ?! იგი ორჯერ გახდა გათამაშების საუკეთესო ბომბარდირი. მეგრელაძის რეკორდს — სეზონში 41 გოლი — ვერავინ შესწვდომია. მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი. „ბაბუმაც“ ორჯერ დააპირა თამაშისათვის თავის დანებება. 1997 წლის 30 მაისს „ტორპედო“ - „სიონის“ შემდეგ მას, 41 წლისას ოფიციალური გაცილებაც მოუწყვეს. უფროსმა მეგრელაძემ უმცროსს, ვაჟს, გიორგის დაუთმო ადგილი და მწვრთნელობა გადაწყვიტა. ჰოდა, ვინ იფიქრებდა, რომ „ბაბუს“ ისევ მოედნისკენ მიუბრუნდებოდა გული. არადა, სწორედ ასე მოხდა. იგი ისევ თამაშობს. თამაშობს და გოლებიც გააქვს. მოკლედ, თუ ინგლისელები სტენლი მეტიუზით ამაყობენ, ფეხბურთი 50 წლამდე ითამაშაო, ჩვენც გვაქვს სატრაბახო. მართალია, მეგრელაძეს ინგლისელის ასაკობრივ რეკორდამდე მთელი 7 წელი უკლია, მაგრამ, საქმე იქეთ მიდის, აღარც ის იქნება გასაკვირი, მერაბმა ამ ზღვარს გადააჭარბოს. ეგაა, ჩვენ მის თამაშს და გოლებს ვეღარ ვუყურებთ. მერაბი შარშან რუსული მეორე ლიგის ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცისთვის“ ირჯებოდა, გუნდის მოთამაშე მწვრთნელი გახლდათ. დღესდღეობით მეგრელაძე უფროსი ქუთაისში, საკუთარ ოჯახშია და მასთან საუბრის შესაძლებლობას ხელიდან როგორ გავუშვებდით.

— მერაბ, შორიდან აღარ დავიწყებ, ციმბირულ გუნდში როგორ აღმოჩნდი, ჩვენთვის დეტალებიც საინტერესოა...

— როგორ აღმოჩნდი და სრულიად შემთხვევით. „ტორპედოში“ ჩემი მწვრთნელობა ხანმოკლე გამოდგა. გუნდში სერგო კუტივაძის მოსვლის შემდეგ „შტატების შემცირებაში“ მოვყევი. ამდენი მწვრთნელი რად გვინდაო და ჯოხიც ჩემზე გადატყდა. ხუთი თვე უმუშევარი დავდიოდი. გეცოდინებათ, შარშან თებერვალში ნოვოსიბირსკის „ჩკალოვეცის“ ფეხბურთელები ჩამოვიდნენ წყალტუბოში შეკრებაზე. ამ გუნდის ქართველ მწვრთნელს სერგო ირომაშვილს დავუახლოვდი. არ დაგიმალავთ, მინდოდა ვაჟისთვის გამეწია პროტექცია „ჩკალოვეცში“ ჩასარიცხად და შესაფერის მომენტს ვუცდიდი.

გაგეცინებათ, ერთხელ სუფრასთან ვისხედით და ირომაშვილს ისე, სხვათა შორის, გავეხუმრე, გუნდში ხომ არ ამიყვან-მეთქი. სერგომ ერთი კი შემომხედა გაკვირვებით, ცოტა ჩაფიქრდა და... ოღონდ შენ თამაში შეძელი და სიამოვნებითო. მეგონა იხუმრა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თავად შემახსენა, რა ჰქენი, გადაწყვიტეო. მოკლედ, ასე იყო. უმუშევრობას ისევ „გაციმბირება“ ვარჩიე. გუნდს ჯერ ისრაელში გავყევი შეკრებაზე, მერე ტაშკენტში. ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, რვა თვის უვარჯიშებელს ფორმის აღდგენა მაგრად გამიჭირდა. პირველ წრეში იშვიათად, 10-15 წუთით თუ გავდიოდი მოედანზე, მეორე წრე კი თითქმის მთლიანად ვითამაშე. ჩემპიონატში ხუთი, თასზე კი სამი ბურთი გავიტანე.

— ვიცით, „ჩკალოვეცი“ პირველ ლიგაში გადასვლას გეგმავდა...

— ასეთი მიზანი მართლა გვქონდა. შანსიც იყო. ლამის მთელი გათამაშება ვლიდერობდით აღმოსავლეთის ზონას, მაგრამ ფინიშთან კრასნოიარსკის „მეტალურგმა“ გაგვისწრო. ბოლოსკენ საქმე იმიტომაც აგვერია, კლუბის პრეზიდენტი მოგვიკლეს. ბიზნესმენობდა და, როგორც ამბობენ, ამ საქმემ იმსხვერპლა.

— „ჩკალოვეცში“ სხვა ჩვენებურებიც თამაშობდნენ...

— გუნდში ხუთნი ვიყავით. სერგო ირომაშვილი — მთავარი მწვრთნელი, მე, მამუკა მანგაძე, გელა წიქარიშვილი, მურთაზ ნაჭყეპია. ისე, აღმოსავლეთ ზონის სხვა გუნდებშიც შეგვხვედრიან ქართველები. გოჩა ჩიხლაძე — ხაბაროვსკშია, მირზა მაღლაკელიძე —ნიჟნევარტოვსკში, გიორგი თურმანიძე — კრასნოიარსკში, ერთიც ირკუტსკში, ოღონდ მისი გვარი აღარ მახსოვს.

— რუსული მეორე ლიგა და ჩვენი პირველი ჯგუფი, თუ შეგიძლია, შეადარო?

— მე მხოლოდ აღმოსავლეთ ზონაზე შემიძლია თქმა. ამ ზონის წამყვან გუნდებს ჩვენი 4-5 კლუბი თუ ავჯობებს. საერთოდ, იქ ხისტს, ძალისმიერ თამაშს მისდევენ. გოლები ნაკლებად გადის. წარმოდგინეთ, ზონის საუკეთესო ბომბარდირმა სულ 12 ბურთი გაიტანა.

— რაც არ უნდა იყოს, ნოვოსიბირსკი მაინც ციმბირია და, როგორ ფიქრობ, იქ ფეხბურთი უფრო უყვართ თუ ჰოკეი?

— ფეხბურთიც პოპულარულია და ჰოკეიც. ზონაში ყველაზე დიდი დასწრება ჩვენს სტადიონზეა. 7-8 ათას კაცს ყოველთვის დაითვლით. ზაფხულში ნოვოსიბირსკში ადგილობრივ და მოსკოვის „სპარტაკის“ ვეტერანთა თამაშისას უნდა გენახათ. ტრიბუნები გადაჭედილი იყო. სხვათა შორის, იმ მატჩში გავრილოვის, ბუბნოვის, ხიდიატულინის და სხვა ყოფილ სპარტაკელთა წინაალმდეგ მეც ვითამაშე.

— მერაბ, კაცი რომ ამ სიშორეს გადაიხვეწება, უნდა ღირდეს...

— როგორ გითხრათ. ანაზღაურებით ვერავის გავაკვირებ. ეს კი არა, კლუბს ფეხბურთელების ვალი აქვს. მაგრამ რა უნდა ჰქნა. სხვა სპეციალობა მე არა მაქვს. ოჯახი ხომ უნდა ვარჩინო. სადაც მენდობიან, იქ ვთამაშობ და სანამ შევძლებ, ვითამაშებ.

— ესე იგი კიდევ გააგრძელებ თამაშს?

— რა თქმა უნდა. კაცი თუ მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია.

— კარგი, ესეც გვითხარი, „ჩკალოვეცში“ შენი შეთავსებითი სამუშაო — მწვრთნელობა რაში გამოიხატება?

— ირომაშვილი ხშირად მეთათბირება, რჩევას მთხოვს, მის არყოფნაში ბიჭებს მე ვავარჯიშებ.

— გავიგეთ, „ჩკალოვეცი“ კიდევ აპირებს წყალტუბოში ჩამოსვლას.

— ამას წინათ ირომაშვილმა დამირეკა ნოვოსიბირსკიდან, 12 თებერვალს ჩამოვიყვან გუნდსო. წყალტუბოში სამკვირიანი შეკრება გვექნება. მერე ანთალიაში ვაპირებთ გამგზავრებას. ჩემპიონატში ჩვენი მიზანი იგივე იქნება — პირველი ლიგის საგზურის მოპოვება.

— ვაჟზე, გიორგიზე რას იტყვი?

— გია „ტორპედოში“ დარჩა. კლუბთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ადრე ცოტა ზარმაცობდა, ახლა კი, ვატყობ, უფრო მონდომებულია. ძალიან გამახარა, რომ დაოჯახდა. რამდენი ხანია ყველა „ბაბუს“ მეძახის, იქაც, ციმბირში „დედ“-ად ვარ ცნობილი. მალე ნამდვილი ბაბუა გავხდები. მაშინ ჩემი ეს მეტსახელი უფრო გამართლებული იქნება.

იუზა კაციტაძე

შაკიაშვილი წავიდა, დაბრუნდება ტყავაძე?

ბოლნისის „სიონში“ მომხდარ ცვლილებებზე „სარბიელი“ შეძლებისდაგვარად იტყობინებოდა. გუნდიდან პირველი წრის დასრულებისა შემდეგ წასულ გია ძნელაძეს, გივი ქობელაშვილს და ზურაბ მეტრეველს ვეტერანი მცველი, სტოპერი არჩილ შაკიაშვილი შეემატა. მან თავად ისურვა გუნდის დატოვება. აჩიკო რუსეთის ერთ-ერთ კლუბში გადაბარგდა, რომლის სახელიც „სიონის“ თავკაცებმა ვერ გაიხსენეს. თუმცა ის კი დაამატეს, შაკიაშვილი ახალ გუნდთან ერთად ანტალიაში იმყოფება შეკრებაზეო.

რაც შეეხება ახალწვეულებს, რუსეთიდან მობრუნებული ისიანი „სიონთან“ ვარჯიშობს, მაგრამ გუნდში ჯერჯერობით ჩარიცხული არ არის, სატრანსფერო ფურცელს ელოდებიან. „სიონის“ პრეზიდენტმა შუქრი დევნოზაშვილმა კი ისიც გვითხრა, შესაძლოა მეორე წრეში ბუბა ტყავაძე დავიბრუნოთო. ჩვენ ეს ძალიან გვინდა, დანარჩენი თავად ბუბაზეა დამოკიდებულიო.

როგორც იცით, ტყავაძე ბერძნული „პანახაიკში“ თამაშობდა. ბუბას კონტრაქტის ვადა დაუმთავრდა და უკან დაბრუნება გადაწყვიტა. უკვე ასაკოვანი ტყავაძე საქართველოში თამაშს არ გამორიცხავს, მაგრამ არც იმას უარყოფს, შესაძლოა ფეხბურთს საერთოდ შეევშვაო.

სანამ „სიონი“ ტყავაძეს უხმობს, მანამდე ბუბა საქართველოს მინიფეხბურთელთა ნაკრებშია შეყვანილი, რომელიც ესპანეთის საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ ემზადება. ესპანელებს ფაქსი გამოუგზავნიათ, ჩამოდით, გეპატიჟებითო. ჩვენებმაც არ დაახანეს და თანხმობით უპასუხეს.

ბიორგი ვაშაკიძე

არმიაში თუ კვლავ კრაკოვში

როდესაც ფოთის „კოლხეთმა“ ეროვნული ჩემპიონატის პირველ წრეში სოსო ფილიას მწვრთნელობისას თავდამსხმელი გელა გაბისონია შეიმატა, ამან კოლხთა უკვე ყოფილ გოლეადორ ჰამლეტ წივწივაძეს ფრთები შეასხა. თუმცა მეტოქეთა გამწარებას ხელი არც გაბისონიამ დააკლო. იგი ფოთელთა მაშინდელმა თავკაცმა პოლონეთიდან, კრაკოვის „ჰუტნიკიდან“ ჩამოიყვანა და ძირითადშიც ხშირად ათამაშებდა. იმასაც ამბობდნენ, გაბისონიას ფილია მფარველობსო. სანამ ფილია გუნდში იქნებოდა, გელაც მინიმუმ ორი წლით კოლხთათვის უნდა გარჯილიყო. კონტრაქტი წერილობით გაფორმებული არ იყო, მაგრამ სიტყვიერი შეთანხმება არსებობდა.

მას შემდეგ, რაც „კოლხეთის“ პრეზიდენტმა ჯემალ ინაიშვილმა სოსო ფილიას მწვრთნელობა დაუწუნა და მასთან მშვიდობიანად განშორება გადაწყვიტა, ბუნებრივია, გუნდში გაბისონიას გაშვება-არგაშვების საკითხი დადგა. „კოლხეთი“ თითქმის ყველა წამყვანმა ფეხბურთელმა (ძირითადის 8 კაცმა) დატოვა, მათ შორის აღმოჩნდა გაბისონიაც. მერე იმასაც ამბობდნენ, გაბისონია „ბათუმში“ გადადისო, მაგრამ ეს თავად გელამ იუარა.

მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე, რომელიც გუშინ დაიწყო, სპორტის სასახლეში მყოფ გაბისონიას გავესაუბრეთ:

— როდესაც სოსო ფილიამ გუნდი დატოვა კლუბში ფინანსურმა პრობლემამ იჩინა თავი. „კოლხეთის“ ხელმძღვანელობასთან მივედი და განთავისუფლება ვთხოვე, რაზეც უყოყმანოდ დამთანხმდნენ. ახლა „არსენალთან“ ვვარჯიშობ. კლუბის თავკაცებს სურთ, მათ გუნდში ვითამაშო. ალბათ, მეორე წრეში ასეც იქნება. არმიელები მისაღებ პირობებსაც მთავაზობენ და ჩემთვისაც კარგია, ოჯახთან ახლოს ვიქნები. თუ აქედან არაფერი გამოვიდა, რუსეთში ან პოლონეთში წავალ ბედის საძიებლად. პოლონეთში თუ დავბრუნდი, ალბათ, კვლავ იმავე გუნდში, კრაკოვის „ჰუტნიკში“ გავირჯები. „არსენალთან“ მაქსიმუმ ერთწლიან კონტრაქტზეა საუბარი. ვნახოთ, ყველაფერი 15 თებერვლისთვის გადაწყდება.

ბიორგი ვაშაკიძე

პირველი ჯგუფი. პირველი ტურ

გაზაფხულიც დადგება

„სამგურალის“ მეგოლე თემურ ფაიქიძე მერანელ დავითნიძესთან (№4) ბრძოლაში

ეროვნულ ჩემპიონატში „სამგურალის“ მიერ განვლილ გზას თუ გადავხედავთ, უმალ შევნიშნავთ, ეს ჩვენში მომრავლებული უპრეტენზიო გუნდთაგან ერთ-ერთია. ახლანდელი, საიუბილეო გათამაშება წყალტუბოელთათვის მეცხრეა პირველ ჯგუფში. ჰოდა, წინა ჩემპიონატებში „სამგურალი“, როგორც წესი, მცირედით კმაყოფილდებოდა, ათეულს მიღმა რჩებოდა. თუმცა, ერთი გამონაკლისიც იყო. მეოთხე, 1992-1993 წლების გათამაშებაში გუნდმა მისთვის მართლაც რომ საპატიო მეოთხე ადგილი დაიკავა. გაიხსენეთ?! ჰო, მაშინ „სამგურალს“ მერაბ მეგრელაძე ჰყავდა. მაშინ „ბაბუამ“ მთლად „გაიგიჟა“ თავი, 31 მატჩში 41 ბურთი გაიტანა. დიახაც, მეგრელაძე იმ გუნდის უდავო ლიდერი იყო, მისი სული და გული. მაგრამ აქ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, „სამგურალში“ მეგრელაძის გვერდიგვერდ გრიგოლ თევზაძე, ნოდარ ჭელიძე, გივი ბაბუნიძე, გიორგი სუხიაშვილი, მამუკა მანგაძე, გელა წიქარიშვილი თამაშობდნენ. ამათ გარეშე კი მეგრელაძე ვერას გახდებოდა. მოკლედ, მეოთხე ჩემპიონატში წყალტუბოს ერთობ ძლიერი, ყველა რგოლში თანაბრად დაკომპლექტებული გუნდი ჰყავდა და თამაშიც იმიტომ გამოსდიოდა...

ეს შესავალი შედარებისთვის დაგვჭირდა. როგორც ვთქვით, წყალტუბოელთათვის იმ ტკბილადმოსაგონარ დროს „სამგურალი“ ძალა იყო, ხოლო მანამდე და აქეთაც ერთ რიგითს წარმოადგენდა. აი, წინა გათამაშებაშიც „სამგურალმა“, შეიძლება ითქვას, ძლივს შეინარჩუნა ადგილი პირველ ჯგუფში. მისდა იღბლად, უფრო სუსტები აღმოჩნდნენ, თუნდაც, იგივე „მარგვეთი“, „მაღაროელი“... ასე იყო თუ ისე, გუნდი გავარდნას დაადურჩა და ახალი ჩემპიონატისთვის მზადებასაც შეუდგა. დაიწყო მთავარი მწვრთნელის გარეშე. კაცმა რომ თქვას, გივი ბაბუნიძე „სამგურალიდან“ არც არავის გაუშვია, მან თავად აღარ ისურვა მუშაობა, გუნდი თანაშემწეს როლანდ ცუცქირიძეს შეატოვა. ასე იყო, თითქმის მთელი თვე წყალტუბოელებს ცუცქირიძე ავარჯიშებდა.

სამგურალის შედეგები

1	მერანი	0:0	სტუმრად
2	გორდა	1:0	შინ
3	სიონი	0:4	სტუმრად
4	თსუ	0:1	შინ
5	კოლხეთი	2:4	სტუმრად
6	ოდიში	1:0	შინ
7	ბათუმი	1:6	სტუმრად
8	ვიტ ჯორჯია	1:3	შინ
9	იბერია	1:3	სტუმრად
10	ლოკომოტივი	1:2	შინ
11	ტორპედო	1:3	სტუმრად
12	გურია	2:1	შინ
13	დილა	1:0	სტუმრად
14	არსენალი	1:1	სტუმრად
15	დინამო	0:3	შინ

	თ	გ	ყ	წ
კახა ჯანაშია	14	1	1	0
მალხაზ თევდორაძე	14	1	2	0
დავით ჭელიძე	13	0	5	0
გრიგოლ თევზაძე	12	0	3	0
მიხეილ მახვილაძე	12	2	0	0
ირაკლი ხაჭაურიძე	12	0	2	0
გელა ძაგნიძე	12	0	2	0
თემურ ფაიქიძე	12	6	3	1
შოთა დარსაძე	11	0	1	0
მალხაზ ჯინჭარაძე	11	3	0	0
ლევან ქობულაძე	10	0	1	0
ლაშა ფრანგიშვილი	10	0	5	0
შალვა ლონდაძე	9	0	2	0
თემურ უგულავა	9	0	0	0
გივი ჯანელიძე	8	0	2	0
ზვიად სტურუა	8	-18	1	0
ილია ჯაფარიძე	7	0	0	0
ზვიად ხარრაშვილი	7	-13	1	0
ზვიად ქუთათელაძე	6	0	0	0
რამაზ კოლუმშვილი	4	0	0	0
ლევან ფილიმონოვი	4	0	0	0
...კოპალიანი	1	0	0	0

თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი



გაიოზ დარსაძე „სამგურალში“ მოგვიანებით მივიდა — 18 ივლისს. დავითვალოთ, ჩემპიონატამდე სამი კვირაღა რჩებოდა. მწვრთნელს არჩევანი არ ჰქონდა, გუნდში ვინც დახვდა, ყველა დაიტოვა. გუმბრინის ბაზაზე ოფლში წურავდა ბიჭებს. ეს „აიაქსის“, ეს „ინტერის“, ეს „არსენალის“ (რა თქმა უნდა, ინგლისურის) ვარჯიშიო. მაგრამ, ვიმეორებთ, დარსაძეს ძალიან ცოტა დრო ერგო გუნდის მოსამზადებლად, ამასთან, რა დასამალია, მოთამაშეთა კონტინგენტიც არ იყო ისეთი, ფორსირებულ წვრთნას შედეგი უცებ გამოეღო. მაგრამ დარსაძე იმედს არ ჰკარგავდა. ერთი ფრაგმენტი მისი სეზონისწინა ინტერვიუდან:

— გუნდში არავინ მომიწვევია, უბრალოდ, ამის შესაძლებლობა არ იყო. ამიტომ ისევ ამ გუნდით უნდა ვიბრძოლოთ. სუსტი წერტილების აღმოფხვრა ჩემპიონატის მსვლელობისას მოგვიწევს. სამუშაო ბევრი გვექნება, საქმისადმი პროფესიული მიდგომით ხარვეზების აღმოფხვრა შეიძლება.

„სამგურალმა“ ისე დაიწყო საიუბილეო გათამაშება, სამდურავი ნამდვილად არ ჰქონდა. ჯერ დედაქალაქში „მერანს“ გაეჯიბრა და, მართალია, ლამის 90 წუთი მასპინძელთა შეტევების ჩაშლას მოანდომა, თბილისიდან ქულა მაინც წაიღო. ერთი რამ იყო ცუდი, პირველსავე ტურში ოთხი გაფრთხილება. თუმცა, ამ მატჩში სოსო კახიანს არც ტრანსპორტელები დაუნდია. მეორე შეხვედრა წყალტუბოელებს შინ ჰქონდათ. ბევრი იწვალეს თუ ცოტა, პირველი ტაიმის მიწურულს ფაიქიძის მიერ პენალტიდან გატანილის წყალობით მეტად პრინციპული მატჩი მოუგეს „გორდას“. ამ თამაშს დიდი გაწევ-გამოწევა ახლდა, მოედანზეც, სამსაჯოშიც და ლოჟაშიც. სფფ-დან მოვლინებული დელეგატის მალხაზ კობიაშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ მოგვიანებით მკაცრი სანქციებიც კი მიიღო რუსთაველთა მწვრთნელის და წყალტუბოელთა პრეზიდენტის მიმართ.

მესამე ტურში „სამგურალი“ ბოლნისში განადგურდა. მასპინძლებმა ოთხი უპასუხო ბურთი გაიტანეს. სწორედ ამ მატჩში გამოჩნდა თვალნათლივ წყალტუბოელთა დაცვის არასაიმედოობა, მეკარემაც, ზვიად სტურუამ აშკარად სუსტად ითამაშა, ორი ბურთი მაინც მის სინდისზე იყო, შორიდან გაუშვა.

მომდევნო მატჩი „სამგურალმა“ თსუსთან გამართა. სტუდენტებს მანამდე სამივე თამაში წაეგოთ და, ცხადი იყო, გაბელიას შეგირდები მასპინძლებს უბრძოლველად არაფერს დაუთმობდნენ. ასეც მოხდა. სტუმრებმა შეგნებულად დამთეს ინიციატივა, თამაში კონტრშეტევებზე ააგეს და გაუმართლათ კიდევაც. შუა მეორე ტაიმში მათ მეტოქის დაცვის ცენტრში დაშვებული შეცდომით ისარგებლეს და საბოლოოდ წყალტუბოდან სამი ქულა წაიღეს.

ამ მატჩისათვის დარსაძემ რამდენიმე მოთამაშეს შეუცვალა ამპლუა, მაგრამ როგორც გამოჩნდა, მარტო სათამაშო პოზიციის შეცვლა საქმეს ვერ უშველიდა. მწვრთნელის დავალებას ყველა ერთნაირად ვერ ართმევდა თავს, ზოგიერთს საამისოდ ოსტატობა არ ჰყოფნიდა. „სამგურალის“ უკანა ხაზის სისუსტეს გუნდში თავდამსხმელთა ნაკლებობაც ემატებოდა. ეულ ფორვარდ ფაიქიძეს ზურგს ხეირიანად ვერავინ უმაგრებდა. ამის მიზეზით იყო, სტუდენტებთან დიდი საერთო სათამაშო უპირატესობა გამოუყენებელი დარჩა. მომდევნო ტურში „სამგურალი“ ფოთს ჩავიდა, წინა მატჩთან შედარებით დარსაძემ ძირითადში ოთხი ცვლილება მოახდინა, ახალგაზრდები ფილიპაშვილი და ღონღაძეც თავიდანვე ათამაშა. არც ამ ექსპერიმენტს ეწერა გამართლება. სტუმრები მხოლოდ ნახევარ საათს გაუძლიანდნენ ქულებსმოწყურებულ „კოლხეთს“. ოთხიდან სამი ბურთი, თუმც ორი პენალტით, ყოფილ თანაგუნდელებს გიორგი სუხიაშვილმა შეუგდო. ამ მატჩის შემდეგ წყალტუბოელებს მხოლოდ ის დარჩათ სანუგეშოდ, რომ, როგორც იქნა, თამაშიდან გაიტანეს, თანაც ორი. აბა, თერთმეტ მეტრიანის დარტყმა რომ იოლია, ფაიქიძემ „ოდიშთან“ შეხვედრის ბოლოსწინა წუთზე დაამტკიცა, რითაც „სამგურალს“ ჩემპიონატში მეორე გამარჯვება მოუტანა.

ამის მერე იყო, ნამეტანი წახდა წყალტუბოელთა საქმე. „სამგურალი“ ზედიზედ ხუთჯერ დამარცხდა. თანდათან დავლაგდებითო კი არა, დარსაძე და კომპანია კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, მეთერთმეტე ტურში „ტორპედოსთან“ წაგების შემდეგ სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვა. იმ ავადმოსაგონარ სერიაში წყალტუბოელები მოედნიდან უგოლოდ არ გასულან, თითოჯერ ყველა მატჩში გაიტანეს, მაგრამ რად გინდა? ჯამში 17 გაუშვეს. ცოდვა გამხელილი სჯობს. გუნდში საქმე უფრო უსახსრობამ არია. კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელებს გასამრჯელოს ვერ უხდიდა, ამათაც წვრთნას უკლეს, ძალისძალად თუ თამაშობდნენ. მაგრამ ეს მეათე ტურამდე იყო. „ლოკომოტივთან“ საშინაო მატჩის წინ ფინანსები გამოჩნდა და ბიჭებსაც სტიმული მიეცათ. ამბიციურ რკინიგზელებთან „სამგურალმა“ თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა, ოღონდ ფორტუნამ უმუხთლა. სხვათა შორის, ამ მოსაზრებას მატჩის დამთავრებისას „ლოკომოტივის“ თავკაცი თემურ მახარაძეც დაეთანხმა, რას ერჩით „სამგურალს“, ნორმალური გუნდი ყოფილაო.

მერე, როგორც აღვნიშნეთ, „სამგურალმა“ ქუთაისშიც იწვნია მარცხი. მდგომარეობა მოგვიანებით გამოსწორდა. გუნდმა სამ თამაშში 7 ქულა მიითვალა. შინ „გურიას“ და გასვლაზე „დილას“ აჯობა, ასევე სტუმრად „არსენალს“ დაუზავდა. მართალია, წრის ბოლო ტურში წყალტუბოელებმა ერთხელაც წააგეს, „დინამოსთან“, მაგრამ იმ 7 ქულასთან ერთად სამტრედიის „იბერიასთან“ თასისთვის წარმატებულ თამაშს და მეთხუთმეტედ ფინალში გასვლას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, „სამგურალს“ საშემოდგომო ბატალიები ურიგოდ არ ჩაუმთავრებია.

რა იქნება გაზაფხულს?...

იუზა ძაციტაძე

ბადრი ჯითილაძის ფოტო



დინამო	15	12	3	0	50:8	39
ტორპედო	15	11	2	2	42:14	35
კოლხეთი	15	8	3	4	34:25	27
ლოკომოტივი	15	6	9	0	18:6	27
ბათუმი	15	6	6	3	23:14	24
დილა	15	6	4	5	21:21	22
იბერია	15	5	3	7	26:31	18
არსენალი	15	4	6	5	19:25	18
მერანი	15	3	8	4	13:16	17
ოდიში	15	5	1	9	12:25	16
გორდა	15	3	7	5	12:18	16
სიონი	15	4	3	8	15:32	15
ვიტ ჯორჯია	15	5	2	8	15:17	14
სამგურალი	15	4	2	9	13:31	14
თსუ	15	3	4	8	14:22	13
გურია	15	3	1	11	17:39	10

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

ქაიფია აქაც ყაფი

სამგურალი: მერი იმ ღამით...
ვიტ ჯორჯია: შენც მოგწონს, არა?
სამგურალი: ეჰ, მიყვარდა ერთ დროს.
ვიტ ჯორჯია: რა მოხდა ასეთი?
სამგურალი: იმ ღამით მითხრა, რაც გინდა, მთხოვეო.
ვიტ ჯორჯია: მერე ხელი არ თხოვე?
სამგურალი: რად მინდოდა წყალტუბოს მერის ხელი, ანთალიაში გამიშვი-მეთქი.
ვიტ ჯორჯია: აა, წყალ-ტალახში გინდოდა?
ტორპედო: ალო! ვიტია, გამოიდარა, როგორც იქნა.
ვიტ ჯორჯია: თქვენ დაუკავშირდით „ვიტ ჯორჯიას“. მობილური ტელეფონი გამორთულია ან გასულია სპორტის სასახლეში.
ტორპედო: ჰმ, უჩემოდ მღერიან...
დინამო: ...გული გაიმაგრე, დავით!
სამგურალი: აღმაშენებელს უმღერი?
დინამო: არა, მეტრომშენებელს...
სამგურალი: ახლა მუმუც გაწირე?
დინამო: რომელი ტურგენევი მე ვარ, თვითონ ჩავიდა მეტროში.
სამგურალი: მივლინება გაუფორმე?
დინამო: მიწისქვეშა მივლინების ბლანკები არ მქონდა.
თსუ: მერე ჩემთან გამოგეშვა.
სამგურალი: შედეგი?
თსუ: დონეს აიმაღლებდა!
სამგურალი: ესე იგი, შენგელია მოუმატებს.
თსუ: ჭეშმარიტად!
სამგურალი: როგორ?
თსუ: იქ სკამზე იჯდა, მე კი ვათამაშებ.
სამგურალი: აა, ტყუილად ჯდომას ტყუილად დგომა სჯობია, არა?
თსუ: რატომ ტყუილად დგომა? ქეცბაიას მაგალითი ავიღოთ.
სამგურალი: რა მაგალითი?
თსუ: მესამე გოლიც შეაგდო.
სამგურალი: კევინ გლასის პასი?
თსუ: ეგ ვინაა?
სამგურალი: დაბიზასი...
თსუ: ვინ?
სამგურალი: შირერი...
თსუ: ვერაფერი გავიგე.
სამგურალი: კაი მთქმელს კარგი გამგონე უნდა...
თსუ: რა ჟურნალისტივით მელაპარაკები?
სამგურალი: აბა, გულიტის „ნიუკასლს“ რომ ედრები, არ გრცხვენია?
თსუ: სირცხვილი რა არის?
სამგურალი: მეთხუთმეტე ადგილი...
თსუ: ბოლოზე მაინც არ ვარ?
სამგურალი: გურული სირცხვილით იწვება.
თსუ: შენ რა იცი?
სამგურალი: თბილისში არ ჩამოდის.
თსუ: აბა, დინოზავრების შეეშინდაო?
სამგურალი: ეგ ხრიკი იყო.
თსუ: ხრიკი რა არის?
სამგურალი: რობერტო ლანდის რაც გაუკეთეს...
თსუ: ვინ გაუკეთა?
სამგურალი: უდიპლომოებმა...
თსუ: რაღაც ევროპულად უბერავ.
სამგურალი: ეს მისი წყალობითაა.
თსუ: შენ გაზეთები დაგლუპავს.
სამგურალი: ამდენი ხანია, მეშაირები და ერთხელაც არ მკითხე მასზე.
თსუ: რა უნდა მეკითხა?
სამგურალი: და გაიოზი?
თსუ: ჰო მართლა, რას ამბობს?
სამგურალი: მინი-ფეხბურთის ტურნირი როდის იწყებაო
თსუ: გუშინწინ არ დაიწყო?
სამგურალი: ეგ მინი-ფეხბურთი არ არისო...
თსუ: ნაკრებზე რაო?
სამგურალი: მსოფლიოს ჩემპიონატზე მაშინ მოხვდებიან სახელს თუ დავარქმევთ.
თსუ: როგორც „სუპერ არწივები“?
სამგურალი: ჰო, ოღონდ, ფრთამოტეხილები...

«სამგურალი». XIV ადგილი

გაიოზ დარსაძე: აქცენტს ჩემპიონატზე ვაკეთებთ

ბადრი კეთილაძის ფოტო

გაიოზ დარსაძე

წარმოიდგინეთ, მიუხედავად არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობისა, პირველი წრის შემდეგ გუნდს მე-14 ადგილი უჭირავს, „სამგურალს“ მაინც ბევრი შენატრის. შენატრის იმიტომ, რომ წყალტუბოს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელსაც ძლიერ უყვარს ფეხბურთი. შენატრის იმიტომ, რომ წყალტუბოელებმა ხელში ჩაიგდეს ჩვენში უეფას ერთადერთი ლიცენზირებული მწვრთნელი... გაიოზ დარსაძეს ბევრჯერ უთქვამს, ქალაქის მერი მირზა ქორქაშვილი რომ არა, წყალტუბოში ვერ მნახავდითო. სადავო არაფერია, ალბათ, ასეც იქნებოდა. მაგრამ ფაქტი ხომ სახეზეა, საიუბილეო ჩემპიონატის პირველი ნახევარი „სამგურალმა“ დარსაძის ხელმძღვანელობით ჩაატარა და სამეორწრეოდაც ის ამზადებს გუნდს.

— ამ თემაზე ხშირად გვისაუბრია, მაგრამ ერთიც ვთქვათ. „სამგურალი“ მაინც მეორეხარისხოვან გუნდად ითვლება ეროვნულ ჩემპიონატში, ბოლო დროს ერთადერთი მიზანი ამოძრავებს, როგორმე პირველ ჯგუფს შემორჩეს. კლუბის ფინანსური შესაძლებლობები დიდ მიზნებზე ფიქრის საშუალებას არ იძლევა. თქვენ კარგად იცოდით, რაზეც მიდიოდით. რატომ გადაწყვიტეთ „სამგურალის“ მწვრთნელობა?

— ახალს არაფერს ვიტყვი. მწვრთნელი თუ ხარ, შენი თეორიული ცოდნა პრაქტიკაშიც უნდა გამოიყენო, საკუთარი თავი ყოველმხრივ გამოსცადო. როცა „სამგურალის“ ხელმძღვანელობამ გუნდთან მუშაობა შემომთავაზა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ასე ვთქვათ, ნიადაგი მოვსინჯე. წყალტუბოში ჩავედი, იქაურ სიტუაციას გავეცანი. სიმართლე გითხრათ, პირველმა შთაბეჭდილებამ ხასიათი წამიხდინა — კეთილმოუწყობელი საწვრთნელი ბაზა, სრული ანარქია გუნდში, არავითარი სასელექციო მუშაობა, მეტწილად ქუთაისში და სამტრედიაში დაწუნებული ფეხბურთელები დამხვდნენ. ბიჭების ფუნქციონალური მომზადება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. არადა, ჩემპიონატის დაწყებამდე სულ რაღაც სამი კვირა რჩებოდა. ასეთ მოკლე დროში საქმის წინ წამოწევა წარმოუდგენელი იყო. უარის თქმა დავაპირე, მაგრამ ერთმა კაცმა გადამფიქრებინა. წყალტუბოს მერი მირზა ქორქაშვილი მყავს მხედველობაში. ბევრი ვისაუბრეთ. ამ კაცში ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარული დავინახე. მოდი, დაიწყე და რითაც შემიძლია დაგეხმარებიო. ჩემი პროექტი მოიწონა.

— და რას ითვალისწინებდა თქვენი პროექტი?

— გუნდში ორი-სამი ფეხბურთელის მოყვანას. თამაშთან, საწვრთნელ პროცესთან, კვება-დასვენებესთან დაკავშირებული ელემენტარული საკითხების მოგვარებას. ეს ყველაფერი იმისთვის, რომ გუნდს პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება არ გაჭირვებოდა. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, უფრო სერიოზულ ამოცანებზე ფიქრი არარეალური იყო.

— დანაპირები შეგისრულდათ?

— მეტნაკლებად. სამწუხაროდ, ვერავინ დავიმატეთ. ის სამი კვირაც, ჩემპიონატის სტარტამდე რომ იყო დარჩენილი, მხოლოდ გუნდის გაცნობას დასჭირდა. შევეცადე ღრმა საკითხებით დამეწყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ბევრი ელემენტარულშიც ვერ ერკვეოდა.

— და მაინც, „სამგურალის“ სტარტი ცუდი არ იყო. ორ მატჩში ოთხი ქულა.

— მიკვირს კიდევაც, ეს რომ მოვახერხეთ. „მერანთან“ და „გორდასთან“ ბიჭებს მხოლოდ გარკვეული ფუნქციის შესრულება დავავალე. გაგვიმართლა, თორემ თამაშის ხარისხზე ლაპარაკი ზედმეტია. ამის შემდეგ დაიწყო ყველაზე მძიმე პერიოდი ჩემი გუნდთან მუშაობისა. ვერ გამოიძებნა ფინანსები. ფეხბურთელები უხელფასოდ იყვნენ, ვარჯიშს და თამაშს უკლეს. თსუ-სთან და „ვიტ ჯორჯიასთან“ შინ წავაგეთ. კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. იყო მომენტი, გუნდის მიტოვება დავაპირე.

— მაგრამ, შველა მოვიდა...

— მოვიდა. ისევ ბოტონ მირზას უშუალო მონაწილეობით მთელი რიგი ხარვეზები აღმოიფხვრა. გაიცა ხელფასი, მოგვარდა კვების, მატჩისწინა შეკრებების, გუნდის გადაადგილების საკითხები. სადღაც მეათე ტურისთვის შემადგენლობა შედარებით სტაბილური გახდა. ეს თამაშსაც უმალ დაეტყო.

— ზოგიერთ ფეხბურთელს მისთვის უჩვეულო პოზიციაზე ათამაშებდით?

— „საგურალში“ რომ მოვედი, არ ვიცოდი ვინ რას წარმოადგენდა. სათამაშო კონცეფციიდან გამომდინარე ვმოქმედებდი. ბოლოსკენ, მგონი, ცოტა დავლაგდით, რაზეც წაუგებელი მატჩების სერია მეტყველებს.

— გუნდის ცალკეულ რგოლებს ხომ ვერ დაგვიხასიათებდით?

— ამას ნამდვილად არ ვაპირებ. მოკლედ კი გეტყვით, უკლებლივ ყველა რგოლი იმსახურებდა კრიტიკას, ძალიან ბევრი შეცდომები იყო. თუმცა ბიჭების მაინც მადლობელი ვარ. რაც შეეძლოთ, იმას აკეთებდნენ.

— მაინც, რომელმა თამაშმა დაგაკმაყოფილათ?

— „ლოკომოტივთან“, მიუხედავად მარცხისა. ყველაზე უსუსურად კი თსუ-სთან და „ვიტ ჯორჯიასთან“ ვითამაშეთ.

— პირველ წრეში მეტი შეგეძლოთ თუ არა?

— იმ გუნდს უკეთეს შედეგს ვერ მოთხოვდით, თუმცა შინ მთავარ კონკურენტებთან წაგების უფლება მაინც არ გვქონდა. მთლიანობაში შედეგით კმაყოფილი ვარ, მით უმეტეს, „მეორე ფროლტზე“, თასზე ცუდად არ გვითამაშია, მეოთხედფინალში ვართ გასული.

— ნოემბერში, წრე რომ დასრულდა, თქვენ ბრძანეთ, თუ კლუბის ხელმძღვანელობა მომავალში ჩემს პირობებს არ გაითვალისწინებს, „სამგურალს“ დავტოვებო. რა გქონდათ მხედველობაში?

— ისევ და ისევ ელემენტარული. „სამგურალი“ გაძლიერებას საჭიროებს. გუნდში შემსრულებლები უნდა გყავდეს. ფეხბურთელის მოწვევა კი გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული. პირველ წრეში ზურაბ მენთეშაშვილის და გიორგი ყიფიანის მოყვანას ვაპირებდი. ისინიც მზად იყვნენ წამოსასვლელად, ბევრსაც არ ითხოვდნენ, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მერე, როგორც გითხარით, უსახსრობით გამოწვეული მოთამაშეთა ეს გაუთავებელი წუწუნი. მოსაბეზრებელია. თუ გუნდი გინდა, მისი შენახვის თავიც უნდა გქონდეს, თუ არა და, ძალას ხომ არავინ გატანს. ჩემი მთავარი პირობა ასეთი იყო: რამდენიმე ფეხბურთელის დამატება, ხეირიანი შეკრების გავლა.

— გუნდში დარჩით, ესე იგი ყველაფერი მოგვარდა?

— მოგვარდაო, რომ ვთქვა, ნაჩქარევი პასუხი გამომივა. ვნახოთ. საქმეს სასიკეთო პირი კი უჩანს. ცოტაოდენ თანხას დაგვპირდნენ და ამის იმედად მართლაც მოვიწვიეთ გუნდისთვის საჭირო რამდენიმე ფეხბურთელი. თურქეთში შეკრება კი არ გამოვიდა.

— გვითხარით, სამეორწრეოდ „სამგურალი“ როგორ ემზადება?

— ვარჯიშს 19 დეკემბერს შევუდექით ქუთაისში, ნაახალწლევს კი სამკვირიანი შეკრება გავიარეთ თბილისში. ეს პერიოდი ფიზიკურ მომზადებას დავუთმეთ. საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავეთ.

— გუნდში ახლები ვინა გყავთ?

— ჩამოგითვლით. სანდრო ბურნაძე, რეზო გლუნჩაძე, ზვიად ენდელაძე, მალხაზ ვოსკანოვი, დათო პეტრიაშვილი, კახა ახალაძე. ეს ხალხი თუ შევინარჩუნეთ, არ უნდა გაგვიჭირდეს. ისე, ძმები კილასონიების და დათო ნოზაძის დამატებაც გვინდოდა...

— წყალტუბოდან წასულებზეც თქვით.

— რვა მოთამაშე წავიდა - ფაიქიძე, თევდორაძე, უგულავა, დათო ჭელიძე, კოლუაშვილი, კახა ჯანაშია, სტურუა, ფილიპაშვილი.

— საკონტროლო თამაშები არ გქონიათ?

— არა, ჩვენი მზადების სპეციფიკიდან გამომდინარე, საკონტროლო შეხვედრებს თავი ავარიდეთ, მხოლოდ თბილისში მინი-ფეხბურთის ტურნირზე გამგზავრების წინ ჩავატარეთ რამდენიმე ორმხრივი თამაში.

— პირველ წრეში ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებს ხომ ვერ დაგვისახელებდით?

— დაცვაში — ბურნაძე, გამთამაშებელი — ვარლამ კილასონია, მეგოლე — აშვეთია. საერთოდ კი ყველაზე გამორჩეული დათო ჯანაშია იყო.

— თასის მეოთხედფინალში „ვიტ ჯორჯიასთან“ ითამაშებთ. რა შანსი გაქვთ?

— ჩვენ აქცენტს ჩემპიონატზე ვაკეთებთ. მთავარი საფიქრალი პირველ ჯგუფში დარჩენაა.

— ჰო, მართლა, ფედერაციაში ბევრი საკადრო ცვლილება მოხდა. თქვენც ხომ არ შეგხებიათ?

— არა. მერაბ ჟორდანიასთან მქონდა საუბარი. მწვრთნელთა მომზადებისცენტრს კვლავაც ვუხელმძღვანელებ.

იუზა კაციტაძე

დიდ ფეხბურთზე მეოცნებე გეგუთელი

ბადრი კეთილაძის ფოტო



მიხეილ მახვილაძე

— მიხო, შენ ყოველთვის მარჯვენა მცველს თამაშობდი, ბოლოს კი პოზიცია შეიცვალე, დაცვის ცენტრში და საყრდენი ნახევარმცველის ადგილზე გხედავდით. რას მივაწეროთ ეს ფაქტი?

— მოთამაშისთვის ადგილის შერჩევა მწვრთნელის საქმეა. გაიოზ დარსაძე მიიჩნევს, რომ ახალ პოზიციაზე უფრო მეტ სარგებლობას მოვუტან გუნდს. ამაში თავადაც ვრწმუნდები, უფრო ხშირად ვარ თამაშში ჩართული, თამაში კი არ მეზარება.

— როგორც კაპიტანი, პირველ წრეში გუნდის გამოსვლაზე რას იტყვი? საკუთარი თამაშიც შეაფასე.

— რა უნდა ვთქვა. მოგეხსენებათ, პირველი წრე „სამგურალმა“ სახიფათო ზონაში დაამთავრა. გუნდს ასე დაებედა, სულ გადარჩენაზე უწევს ფიქრი. მოსამზადებელი პერიოდი რასაც ჰქვია, ნორმალურად არც კი გაგვივლია. დარსაძე გვიან მოვიდა გუნდში. სამიოდ კვირაში რა უნდა მოესწრო. გუნდის ჩამოყალიბებას დრო უნდა. ცვალებადი შემადგენლობით გვიწევდა თამაში. ამას კლუბში არსებული ფინანსური პრობლემებიც ემატებოდა. ბიჭები უხელფასოდ იყვნენ და თამაშს გულს ვერ უდებდნენ. მაგრამ სიტუაცია ნელ-ნელა გამოსწორდა. რამდენიმე ტური წაუგებლად განვვლეთ, თასის მეოთხედფინალშიც გავედით. რაც შეეხება ჩემს თამაშს, შეფასებისგან თავს შევიკავებ. შეძლებით კი მეტი შემეძლო. ტრავმის გამო ჩემპიონატში სამი მატჩი გამოვტოვე.

ბიჭი და მისი სამი და ადრე დაობლდნენ. ჯერ დედა გარდაეცვალათ, მერე მამაც. ბავშვებს ბებია-ბაბუა ზრდიდნენ. მახვილაძეების ოჯახი გეგუთში ცხოვრობს. სახლის წინ, ქუჩის გადაღმა სასოფლო სტადიონზე ენთუზიასტ მწვრთნელ ანზორ სვანაძესთან ისნავლა ფეხბურთი მიხომ. მერე ქუთაისში გააგრძელა მეცადინეობა. თამაშობდა „რწმენაში“, „ტორპედო 2“-ში, შარშანწინ კი „სამგურალის“ წევრი გახდა. გუნდის ძირითადში ადგილის დამკვიდრება, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა, მაგრამ ბეჯითობამ თავისი გაიტანა. მეათე ეროვნულის პირველ წრეში 20 წლის მახვილაძე წყალტუბოელთა წამყვანად მოგვევლინა, მას „სამგურალის“ კაპიტნის ხელსახვევი არგეს და უფრო მეტიც, ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს.

— პირველ წრეში ორი ბურთის გატანა მოახერხე. ადრე რომ ვერ გაგქონდა?

— მანამდე მხოლოდ დაცვაში თამაში მევალებოდა, წინ იშვიათად მივდიოდი. ახალი პოზიციიდან კი ხშირად მიწევს შეტევაში ჩართვა.

— არსებობს აზრი, რომ „სამგურალს“ მსაჯები ჩაგრავენ?

— მთლად ასე არ უნდა იყოს. ერთ თამაშზე კი ნამდვილად დამწყდა გული. „ლოკომოტივთან“ მოვინდომეთ, ყველაფერი გავიღეთ, უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ წავაგეთ. ეს წაგება, ჩემი აზრით, სწორედ სუსტმა მსაჯობამ განაპირობა.

— ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის პატივი გხვდა. ამაზე რას იტყვი?

— გაიოზ დარსაძემ გამიწია რეკომენდაცია და ალბანეთის წინააღმდეგ ვითამაშე. ამაზე დიდი ნდობა რა უნდა იყოს! ლატვიასთან და საბერძნეთთან ტრავმის გამო დავაკლდი გუნდს. ამას წინათ ისევ დამიძახეს ნაკრებში. მეც ვეცდები ადგილი დავიმკვიდრო გუნდში.

— „სამგურალში“ თამაში გაკმაყოფილებს?

— ამ ეტაპზე, ალბათ, ასე სჯობს. ერთბაშად არაფერი ხდება. მოვძლიერდები და მერე ვნახოთ. ისე, დიდი ფეხბურთის თამაში ნამდვილად მინდა, ოღონდ ამისთვის მზად უნდა ვიყო.

— საკუთარ ნაკლად რა მიგაჩნია?

— სამუშაო ძალიან ბევრი მაქვს, პირველ რიგში, ხისტ თამაშს უნდა შევეჩვიო.

— „ვიტ ჯორჯიაში“ შენს შეხედულებას ეს ასეთი ... ?

— ... ?

— ... ?

**—

რჩეულნი

REUTERS ბარსელონადან

რონალდო, ზიდანი და შუკერი — ფიფას რჩეული სამეული

1 თებერვალი. ესპანეთი. ბარსელონა. კატალონიის ეროვნული თეატრის შენობა. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები გასული წლის საუკეთესო მოთამაშის დასახელებას ელიან. გამოკითხვა ფორმალობაა, გამარჯვებული კარგა ხანია, ცნობილია.

ზინედ ზიდანი ბარსელონაში მოწყობილ საღამოზე ფიფას ევრსიით საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნიეს.

კიდევ ერთი აღიარება. მსოფლიოს ჩემპიონი 20 დეკემბერს „როიტერის“ სააგენტომ წლის საუკეთესო სპორტსმენად შერაცხა. რამდენიმე დღეში ზიდანს „ფრანს ფუტბოლისგან“ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ოქროს ბურთი ერგო. „იუვენტუსის“ ნახევარმცველი უდავოდ იმსახურებდა ყველა ამ ჯილდოს. გასული საფეხბურთო წელი უპირველესად სწორედ ზიდანისა იყო და შემდეგ ყველა სხვისი.

— რთული სეზონი იყო, თუმცა შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. კლუბშიც და ნაკრებშიც ვგრნობდი, რომ გამარჯვებისკენ ერთად მივისწრაფოდით. შესაძლოა სხვებს ფონზე გამოვირჩეოდი, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ ყველა ის პრიზი, რომლებიც მოვიპოვე, თანაგუნდელებისა და მწვრთნელების დამსახურებაა. რომ არა ისინი, დღეს ამ პატივს სხვას მიაკუთვნებდნენ. მე მათი მადლიერი ვარ — განაცხადა ზიდანმა.

შარშან, 1998 წელს, ზიდანი კლუბშიც და ნაკრებშიც მართლაც გამარჯვებისკენ მიისწრაფოდა. „იუვენტუსში“ იტალიის ჩემპიონატი მოიგო, ნაკრებში თამაშისას კი ყველა ფეხბურთელისთვის საოცნებო წარმატება — მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. ზიდანის საუკესეოდ დასახელებაში უდიდესი როლი ითამაშა იმანაც, რომ „ზიზუ“ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბრაზილიას ორი გოლი გაუტანა.

— ფეხბურთი გუნდური თამაშია, თუმცა ინდივიდუალიზმიც ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემთვის ამ აღიარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვხვდები, რომ რაღაცას მივაღწიე — ესეც მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის სიტყვებია.

ფიფას გამოკითხვა აგერ უკვე მერვედ ჩატარდა, ფრანგმა კი პირველად გაიმარჯვა. ასეთი დიდი სხვაობით ჯერ არავის ჩამოუტოვებია კონკურენტები. ზიდანმა ეს შეძლო. იგი მართლაც შეუდარებლად თამაშობდა.

მეორე ადგილზე რონალდო გავიდა, ფიფას გამოკითხვის ერთადერთი ორგზის გამარჯვებული. 21 წლის ბრაზილიელმა 1996 და 1997 წლებში არავის დაუთმო პირველობა, ახლა კი ერთი საფეხურით დაიხია.

— პრიზს ნამდვილად არ ვიმსახურებდი, ზიდანი კი გამარჯვების ღირსი იყო. იგი შესანიშნავი ფეხბურთელია, ბრწყინვალე. მე ვთვლი, რომ მეორე ადგილის ღირსიც არ ვარ. დღესდღეობით არიან ჩემზე გაცილებით ძლიერი მოთამაშეები — რონალდო თავმდაბალი გახლდათ.

მესამე ხორვატი დავორ შუკერი იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს საფრანგეთში გატანილი ექვსი გოლისთვის ოქროს ბუციც გადასცეს.

ბრწყინვალე ცერემონიალს გამოჩენილი ფეხბურთელებიც ესწრებოდნენ, ახლების გამარჯვებას აღნიშნავდნენ და ძველებს იხსენებდნენ. საღამოს მასპინძელმა ფიფამ კი ზოგიერთი მათგანი — გერდ მიულერი, დინო ძოფი და ჟუსტ ფონტენი ფეხბურთის დიდების დარბაზის წევრად აქცია. ალბათ, თავის დროზე ამ პატივს ფიფას გამოკითხვის გამარჯვებულებსაც მიაგებენ.

ლაშა გოდუაძე

ავსანეთი	მირალი აკბარჯა	რონალდო	ზიდანი	ბერხკამპი
ალბანეთი	ასტრიტ ჰაფიზი	ზიდანი	რონალდო	დელ პიერო
ალჟირი	იგილალი	ზიდანი	რივალდო	რობერტო კარლოსი
ანგოლა	ვესელინ ჟელუსიჩი	ზიდანი	რივალდო	ბატისტუტა
ანტიგუა	ზორან ვრანეში	შუკერი	ზიდანი	მიატოვიჩი
არგენტინა	ნესტორ პეკერმანი	ზიდანი	დავიდსი	ოუენი
ახალი ზელანდია	კენ დაგდეილი	სალასი	შუკერი	ტურამი
აშშ	ბრიუს არენა	ზიდანი	რონალდო	ბერხკამპი
ავსტრალია	რაულ ბლანკო	ზიდანი	ბერხკამპი	რობერტო კარლოსი
ავსტრია	ჰერბერტ პროხაზკა	ზიდანი	რონალდო	ტურამი
აზერბაიჯანი	ვაგიტ სადიყოვი	ზიდანი	რივალდო	დელ პიერო
ბარბადოსი	ეირა სილი	ბატისტუტა	ზიდანი	რონალდო
ბელარუსი	მიხაილ ვერგეენკო	ზიდანი	რონალდო	შუკერი
ბოლივია	ექტორ ვეირა	ვეა	რობერტო კარლოსი	ოუენი
ბოსნია	მუსოვიჩ ჯემალუდინი	ზიდანი	რონალდო	შუკერი
ბულგარეთი	დიმიტარ დიმიტროვი	ზიდანი	რონალდო	ოუენი
ბურკინა ფასო	დიდიე ნოტო	ზიდანი	ბატისტუტა	ტურამი
ბერმანია	ერიხ რიბეკი	ზიდანი	დავიდსი	ვან დერ სარი
განა	ჯუზეპე დოსენა	ზიდანი	ანდერტონი	ნაკატა
გვატემალა		ზიდანი	შუკერი	ფ.დე ბური
გუამი	ჯეიმს სანტოსი	რონალდო	ზეედორფი	ზიდანი
დანია	ბო იოჰანსონი	ზიდანი	დეაი	შუკერი
ეკვადორი	კარლოს გარსესი	ზიდანი	რონალდო	ტურამი
ეგვიპტე	მაჰმუდ ელ გოჰარი	ზიდანი	რონალდო	ოვერმარსი
ესპანეთი	ხოსე ანტონიო კამაჩო	მიატოვიჩი	რივალდო	ლოპესი
ერაყი	აკრამ სალმანი	ზიდანი	შუკერი	ბერხკამპი
ეკვ.გვინეა	პედრო ფუგა	რივალდო	შილავერტი	ზიდანი
ერითრეა	მოშირ ოსმანი	რონალდო	ზიდანი	ბატისტუტა
ესტონეთი	ტეიტურ ტორდარსონი	ზიდანი	რონალდო	რივალდო
ეთიოპია	აბატე ბეკელე	რონალდო	ზიდანი	შუკერი
ვენესუელა	ხოსე პასტორისა	ზიდანი	ბატისტუტა	ოუენი
ვიეტნამი	ალფრედ რიდლი	ზიდანი	ბერხკამპი	შუკერი
ვირჯინიის კ-ები	გრეგორი გრანტი	დავიდსი	დენილსონი	დეაი
ზამბია	პატრიკ ფირი	რონალდო	ზიდანი	ოუენი
ზიმბაბვე	ბრიუს გრობელაარი	რონალდო	ბარტეზი	ზიდანი
თურქეთი	მუსტაფა ბენიზლი	ზიდანი	ზეედორფი	რობერტო კარლოსი
თურქმენეთი	ვიქტორ პოჟეჩევსკი	ზიდანი	ოუენი	რონალდო
იემენი	სალემ აბდულრახმანი	ზიდანი	ბერხკამპი	ოუენი
იუგოსლავია	მილან ზილადინოვიჩი	რონალდო	ოუენი	ზიდანი
ინგლისი	გლენ ჰოდლი	ზიდანი	ბერხკამპი	რონალდო
ირლანდია	გუდიონ ტორდარსონი	ზიდანი	შუკერი	ტურამი
ინდონეზია	ბერნარ შუმი	ზიდანი	დეაი	შილავერტი
ირანი	ჯალალ ტალები	ზიდანი	შუკერი	ბერხკამპი
ირლანდია	მიკ მაკართი	სალასი	ოუენი	დეაი
ისრაელი	შლომო შარფი	ზიდანი	შუკერი	ოუენი
იტალია	დინო ძოფი	ზიდანი	მიატოვიჩი	ტურამი
იამაიკა	რენე სიმოეში	ზიდანი	დეაი	ბატისტუტა
იაპონია	ფილიპ ტრუსიე	ზიდანი	შუკერი	დეშამპი
იორდანია	ვოკასინი	ზიდანი	რივალდო	რონალდო
კოლუმბია	ხავიერ არტეაგა	ზიდანი	შუკერი	რივალდო
კანადა	ოლეე ოსიეკი	ზიდანი	ფ.დე ბური	ბატისტუტა
კაბოვერდე	ოსკარ დუარტე	ბატისტუტა	დეაი	რონალდო
კუკის კ-ები	ალექს ნაპა	ბერხკამპი	ოუენი	ბატისტუტა
კოსტარიკა	ფრანსისკო მატურანა	ზიდანი	ფ.დე ბური	ოუენი
კოტ დივუარი	მეგბონკი მარტინი	ზიდანი	ბატისტუტა	ბარტეზი
კვიპროსი	პანიკოს გეორგიუ	ზიდანი	კაფუ	შილავერტი
კორეა	იუნგ მუ ჰუ	ზიდანი	რონალდო	ორტეგა
ლატვია	რევაზ ძოძუაშვილი	რონალდო	ზიდანი	ვერონი
ლიბანი	მაჰმუდ საადი	ზიდანი	ბერხკამპი	შუკერი
ლიხტენშტაინი	რალფ ლოსე	ზიდანი	დეშამპი	ბირჰოფი
ლიტვა	კესტუტის ლატოზა	ზიდანი	შუკერი	ბერხკამპი
ლუქსემბურგი	პოლ ფილიპი	ზიდანი	ტურამი	დავიდსი
მაკედონია	გოკო ჰაჯიევსკი	ზიდანი	რონალდო	შუკერი
მადაგასკარი	ვინსენ რანდრიამირადო	ზიდანი	ოუენი	კაფუ
მალაიზია	ჰატემ სოუისი	ზიდანი	ორტეგა	სალასი

მალტა	იოზეფ ილიჩი	ზიდანი	რონალდო	დეშამპი
მავრიკეთი	კადრი

პლატმა ვერ ივარგა



მიმდინარე სეზონში გენუის „სამპდორია“ მეორედ დარჩა უთავკაცოდ. გუშინ ეს თანამდებობა დევიდ პლატმა დატოვა.

მას შემდეგ, რაც 32 წლის პლატი „სამპდორიას“ ჩაუდგა სათავეში, გენუელებს ერთი თამაშიც არ მოუგიათ და მათთვის არასაკადრისი მე-13 ადგილიდან სულ სამარცხვინო მე-17, ბოლოსწინა ადგილამდე დაქვეითდნენ.

წარსულში ინგლისის ნაკრების ნეხევარმცველის, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში ბელგიელთა კარში გამარჯვების გოლის გამტანი (120-ე წუთზე) პლატისთვის იტალიური სამწვრთნელო კარიერა უიღბლო გამოდგა. არადა, როგორც ფეხბურთელი, იგი „ბარიში“, „იუვენტუსსა“ და განსაკუთრებით იმავე „სამპდორიაში“ გაცილებით სოლიდურად გამოიყურებოდა.

ვინ იყო ჰოდლი ასი-ორასი წლის წინათ?

იყო თუ არა წინა ცხოვრებაში ინგლისის სპორტის მინისტრი ტონი ბენქსი გრაფი დრაკულა? სრულიად შესაძლებელია, რომ იყო და ამ ამბავს ფარდა ქვეყნის ეროვნული გუნდის თავკაცმა გლენ ჰოდლმა ახსნა.

თითოეული ჩვენგანის ცხოვრება ძალიან საინტერესო რამ გახლავთ და მას სერიოზული შესწავლა სჭირდება. არ არის გამორიცხული, რომ ცხოვრება სინამდვილეში სულაც არ არის ერთი, იგი სხვადასხვა დროში გრძელდება და ერთი ეტაპის ცოდვა-მადლი მეორეზე გადადის. მაგალითად, ამ სიტყვების ავტორი საუკუნის დასაწყისში თუ კულა გლდანელი იყო და რჩეულ ვაჟკაცებს სულ ბეჭებზე აკრავდა, საუკუნის მეორე ნახევარში სპორტულ ჟურნალისტად დაიბადა, რათა საკითხს მეორე მხრიდანაც შეხედოს.

მაშ ასე, ტონი ბენქსი უწინ ვლად ტეპეში, იგივე გრაფი დრაკულა ყოფილა და ხალხი უხოცია, თქვენი მონა-მორჩილი კი თურმე კულა გლდანელად დადიოდა ცოდვილ მიწაზე.

და ეს ყველაფერი, ჩვენ, გლენ ჰოდლმა გვითხრა.

კიდევ შეიძლება თემის გაგრძელება, მაგრამ არ ღირს. სჯობს ჰოდლის ამბავი უფრო დაწვრილებით მოვყვეთ და თავი იმ ლონდონელ კაცად წარმოვიდგინოთ, გასულ კვირას, სადმე კაფეში, „ტაიმსი“ რომ გადაშალა და თვალები კინაღამ ბუდეებიდან გადმოუცვივდა.

„მე და თქვენ ამ ქვეყანას ორი ფეხით, ორი ხელით და საღი ტვინით მოვევლინეთ, ზოგიერთი კი ინვალიდი, არასრულფასოვანი გაჩნდა და ამას თავისი მიზეზი აქვს: წინა ცხოვრებიდან კარმამ თავისი ქნა“ — ეწერა გაზეთში. მოკლედ, ის, ვინც წინა ცხოვრებაში ცუდად იქცეოდა, ახლა დასჯილი ყოფილა.

ჰოდლის ამ ნათქვამმა ბუნებრივია, ბევრს მიაყენა შეურაცხყოფა და დიდი რეზონანსი გამოიწვია. რამდენიმე დღეა ინგლისური პრესა კომენტარებითაა აჭრელებული.

ტონი ბენქსი: ამ კვირა დღეს ისეთი ამბები მოხდა, რომ წინა ცხოვრებაში ჩადენილი საზიზღარი საქმეები ვინანე. მაშინ კარგად რომ მოვქცეულიყავი, დღეს სპორტის მინისტრობას გადავრჩებოდი. იცით, ბევრი ვიფიქრე და დავასკვენი, რომ ადრე ვლად დრაკულა გახლდით, რადგან დრაკულასეული თვითგადარჩენის ინსტინქტი რომ არ მქონოდა ჰოდლის ნათქვამი თანამდებობას დამაკარგინებდა.

განათლების მინისტრი დევიდ ბლანკეტი (ბრმაა): თუ ჰოდლის თეორია მართალია, მაშინ მე წინა ცხოვრებაში უნიჭო საფეხბურთო მწვრთნელი ვყოფილვარ.

ფორმულა 1-ის ვარსკვლავი დეიმონ ჰილი (შვილი ჰყავს ინვალიდი): გლენ ჰოდლს სიტყვებისთვის ჭკუის დატანება მართებს. მისი ნათქვამი სნეული გონებიდან მოდის.

ინგლისის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლეირი: თუ ის, რაც დაიწერა, მართლა ჰოდლის ნათქვამია, მაშინ მას თანამდებობაზე დარჩენა ძალიან გაუჭირდება.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ახალი სპონსორის, „ნეშენუაიდ ბილდინგ სოსაიტის“ მარკეტინგის განყოფილების უფროსი მაიკ ლეიზენი: დარწმუნებული არ გახლავართ, მართლა თქვა თუ არა მისტერ ჰოდლმა ეს სიტყვები და ისიც ფაქტია, რომ ჩვენ მთელს ნაკრებს ვსპონსორობთ და არა ერთ ადამიანს, მაგრამ თუ სიტყვები მას ეკუთვნის, მაშინ ფეხბურთის ასოციაციასთან ძალიან სერიოზული საუბარი მოგვიწევს.

მოკლედ ერთი ორჯერ ეჭვმა გაიელვა, მართლა ჰოდლის ნათქვამია ეს საშინელება თუ არაო. ეჭვი თავად მწვრთნელმა და მისმა აგენტმა დენის რიოქმა დათესეს. რიოქმა თქვა: გლენი შეხვდა თავის ადვოკატებს, რომლებიც საკითხს საფუძვლიანად შეისწავლიან და „ტაიმზის“ წინააღმდეგ საქმეს აღძრავენ.

41 წლის ჰოდლი კი თავს ასე იმართლებს: საშინელი შეცდომა დავუშვი ჟურნალისტებს ჩემს რწმენაზე რომ ველაპარაკე და ფეხბურთის თემას გადავუხვიე. დიახ, მე სულთა გარდასახვისა მწამს, მაგრამ ის, რომ ინვალიდები დასჯილი ხალხია, არ მითქვამს. ჩემი აზრი ვერ გაიგეს და დამიმახინჯეს. ნაკრების მწვრთნელობიდან გადადგომას არ ვაპირებ და ძალიან მინდა, საფრანგეთის ნაკრებთან სათამაშოდ მე გავიყვანო გუნდი.

ჰოდლი და სულები თავისთავად საინტერესო საკითხია და ქალბატონი ეილინ დრიუერის არსებობას მოგვაგონებს. ეილინ დრიუერი სწორედ ის გულთმისანი თუ პარაფსიქოლოგია, რომელიც ინგლისის ნაკრების მწვრთნელს კარგა ხანია მხარში უდგას და ერთი პირობა ეროვნული გუნდის მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მომზადებაში ეხმარებოდა. გეხსომებათ, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ მწვრთნელმა ინგლისელთა წარუმატებლობის ერთ-ერთ. უმთავრეს მიზეზად ის დაასახელა, რომ მას საფრანგეთში დრიუერის წაყვანის ნება არ დართეს.

დრიუერი ჰოდლის სკანდალურმა გამონათქვამმა ისევ გამოიყვანა წინა პლანზე.

„გლენი ძალიან გულითადი და თანამგრძნობი ადამიანია. ის ინვალიდებისთვის ხშირად აგროვებდა ფულს, ახლა კი ისე გამოჰყავთ, თითქოს მას სხვისი ბედი არ აღელვებდეს“ — დაიცვა პროტეჟე ქალბატონმა, რომელსაც თავად ინვალიდი მეუღლე ჰყავს.

ეილინ დრიუერი ბოლო დროს ატყობს, რომ მისი პოპულარობა ერთობ უსიამოვნო მასშტაბს იღებს და ასე აცხადებს: მე მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის ქალი, მეუღლე, დედა, ბებია და დეიდა ვარ... განსაკუთრებული არაფერი.

და მაინც, როგორც მისანი იგი ჰოდლის პოზიციის გამაგრებას ცდილობს: წარმოიდგინეთ, რომ ვილაცას ეჩხუბებით და ხერხემალი გადაუტეხეთ. განა გამორიცხულია, რომ მომავალ ცხოვრებაში ლოგინს მიჯაჭვული დაიბადოთ?

მიხეილ სურგულაძე



REUTERS ლონდონიდან

გლენ ჰოდლი ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის შენობასთან

სამხრეთ ამერიკა

Confederación Sudamericana de Fútbol

ვნახავთ კიდევ ძველ რონალდოს?

ფიფას ვერსიით 1998 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოების ცერემონიალზე ბარსელონაში ჩასულმა რონალდომ ჟურნალისტებს სენსაციური ცნობა მიაწოდა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც მილანის „ინტერთან“ კონტრაქტი დაუმთავრდება, არა რომელიმე ევროპულ კლუბში, არამედ სამშობლოში აპირებს კარიერის გაგრძელებას.

— როდესაც „ინტერთან“ ხელშეკრულების ვადა გამივა, ბრაზილიაში დავბრუნდები, რადგან ევროპაში უკვე გავატარე ხუთი სეზონი და რამდენიმე წელი კიდევ მომიწევს აქ ყოფნა — თქვა პლანეტის ორგზის საუკეთესო მოთამაშემ 1996 და 1997 წლებში.

იტალიაში ფენომენად მონათლულ რონალდოს მილანურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, რომლის ვადაც 2002 წელს იწურება. ბრაზილიელის პირველი ევროპული გუნდი ჰოლანდიური „ეინდჰოვენი“ გახლდათ, სადაც მან ორი სეზონი გაატარა და ფეხბურთის სპეციალისტთა ყურადღებაც მიიპყრო. შემდეგ, ისევე, როგორც მისი სახელოვანი თანამემამულე რომარიო ფარიასი, რონალდო „ბარსელონაში“ ჩაირიცხა, ერთი წლის განმავლობაში იცავდა კატალონიელთა ღირსებას და, ალბათ, საუკეთესო ფორმაშიც სწორედ მაშინ იყო.

იმ პერიოდში ახალგაზრდა ფორვარდს ხშირი კონფლიქტები ჰქონდა „ბარსელონას“ უფროსობასთან, თურმე ძალიან ხშირად ითხოვდა სამშობლოში წასვლას — ხან რიოს კარნავალზე გასართობად, ხანაც სხვა მიზეზით. საბოლოოდ მან ესპანეთის დატოვება გადაწყვიტა და ბედი მილანის „ინტერს“ დაუკავშირა.

შარშანდელი 12 ივლისიდან მოყოლებული კი ლუის ნაზარიო დე ლიმა მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებათა მთავარ „ნიუსმეიქერად“ იქცა. ჯერჯერობით ამოუცნობი ისტორიის წვრილმანები ყველამ კარგად იცის და ამიტომ მასზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ, უბრალოდ, უნდა აღვნიშნოთ — საფრანგეთი 98-ის მერე რონალდო საფეხბურთო მოედანზე იშვიათად ჩნდება და ძველებურადაც ველარ ბრწყინავს, თუმცა ამის გასამართლებელი საბუთი მაინც არსებობს, მას მუხლის ტრავმა ახსენებს ხოლმე თავს.

— მსოფლიოს პირველობის ფინალის შემდეგ ვერაფრით მოვმჯობინდი.



რონალდო

ტკივილები დღესაც მაწუხებს, მაგრამ იმედს არ ვკარგავ და დარწმუნებული ვარ, ძალიან მალე გულშემატკივარი ძველ რონალდოს იხილავს — ამბობს 22 წლის ვარსკვლავი.

ძალიან კარგი, თუ ასე იქნება, რადგან ხალხს მისი არნახული დრიბლინგი, საოცარი ფინტები და ულამაზესი გოლები მოენატრა. საკუთარი რესტორნის გახსნა და საფეხბურთო კლუბის აქციათა პაკეტის შეძენა კი ანჯელო დი ლივიოსაც შეუძლია...

დავით კოტეზრიძე

გეგმებიც ასეთი უნდა

ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ ორშაბათს საზოგადოებას თავისი გეგმები გააცნო. პირველ ყოვლისა, სამხრეთამერიკელები თურმე აზიაში ორი ამხანაგური მატჩის გამართვას აპირებენ — 28 მარტს სამხრეთ კორეის ეროვნულ გუნდთან, ხოლო 31-ში იაპონელებთან. სხვათა შორის, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები აზიურ ტურნეს პირველად არ აწყობენ. ასე იყო 1995 წელს და ორი წლის შემდეგ, 1997-ში.

ეს უახლოეს მომავალს ეხება, თორემ ლუქსემბურგოს იმდენი ამხანაგური მატჩი დაუგეგმავს, რამდენიმე ნაკრებს რომ ეყოფა. ყველაფერმა ამან კი შესაძლოა ევროპის წამყვანი კლუბები აღაშფოთოს, სადაც ბრაზილიელთა დიდი ნაწილი გამოდის და რომლებსაც მეტად გადატვირთული კალენდარი აქვთ.

ვანდერლეი ლუქსემბურგო

აზიის შემდეგ ლუქსემბურგოს ტუნისში გამგზავრება განუზრახავს, რათა ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან მოსინჯოს ძალა. სავარაუდოდ, ეს 30 აპრილს იქნება. ორი დღის მერე, ანუ 2 მაისს, ბრაზილიელები კატალონიაში ჩავლენ, „ბარსელონას“ საუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ დღესასწაულში რომ მიიღონ მონაწილეობა და „კამპ ნოუზე“ ამხანაგურად კატალონიელთა სათაყვანებელ კლუბს გაეჯიბრონ.

ივნისის დასაწყისში ლუქსემბურგოს შეგირდები ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქ სალვადორში საფრანგეთი 98-ზე ნახევარფინალურ მეტოქეს ჰოლანდიას უმასპინძლებენ. სავსებით შესაძლებელია, ეს გუნდები ოქტომბერში ამსტერდამშიც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

წლის ბოლოს, ნოემბერში, ბრაზილიის ნაკრები უკვე ავსტრალიას ეწვევა და ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავს — ჯერ ავსტრალიელებთან, შემდეგ კი ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდთან.

შეგახსენებთ, რომ 46 წლის ლუქსემბურგოს ხელმძღვანელობით სამხრეთამერიკელებმა უკვე სამი ამხანაგური მატჩი ჩაატარეს, სამივე შარშან. თავიდან ბრაზილიელები იუგოსლავიის ნაკრებს შეხვდნენ და 1:1 ითამაშეს, ხოლო შემდეგ ერთნაირი ანგარიშით 5:1 მოუგეს ეკვადორის არცთუ ძლიერ გუნდს და რუსეთის ნაკრების მეორე შემადგენლობას.

ის კვირაში 100 ათასს მიიღებს

ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ნახევარმცველმა სტივ მაკმანამანმა მადრიდის „რეალში“ გადასვლაზე თანხმობა განაცხადა. იგი ევროპის ჩემპიონთა თასის ბოლო მფლობელს 25,7 მილიონი დოლარის საფასურად შეუერთდება.

ფეხბურთელის აგენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მაკმანამანისა და „რეალის“ კონტრაქტი, რომელიც 1 ივლისს ამოქმედდება, ხუთწლიანია. 30 ივნისს მას „ლივერპულთან“ გაუდის ხელშეკრულების ვადა და ნახევარმცველი თავისუფალი აგენტი გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ტრანსფერი უფასოა.

მართლაც, „ლივერპული“ მადრიდელთაგან კაპიკსაც არ მიიღებს, ასე რომ, თანხა, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, მხოლოდ მაკმანამანის შემოსავალი გახლავთ.

ესპანური პრესის თანახმად, ნახევარმცველი წელიწადში 3,76 მილიონ დოლარს მიიღებს, ინგლისური წყაროები კი ამტკიცებენ, რომ მისი ყოველკვირეული შემოსავალი 100 ათასი დოლარი იქნება. თუ ინგლისელები მართალს ამბობენ, გამოდის, რომ მაკმანამანი მადრიდში ხუთწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ოჯახის ბიუჯეტს 25,7 მილიონი დოლარით შეივსებს.

„მეტისმეტად მწყდება „ლივერპულთან“ განშორებაზე გული, მაგრამ „რეალში“ თამაშის პერსპექტივაც ძალიან მხიბლავს. ვგონებ, იმ გუნდში გადავდივარ, რომელიც ჩემს ამბიციას შეესაბამება. მე ევროპულ სარბიელზე მსურს თავის გამოჩენა“ — განაცხადა მაკმანამანმა.

აღსანიშნავია, რომ ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის გადაბირება „რეალის“ გარდა „ბარსელონასა“ და „იუვენტუსსაც“ სურდათ.

სტივ მაკმანამანი

დაიბადა 1972 წელს
1990 წელს „ლივერპულის“ ფეხბურთელი ხდება
1992 წელს „ლივერპულის“ შემადგენლობაში იგებს ფეხბურთის ასოციაციის თასს
1995 წელს „ლივერპულის“ შემადგენლობაში იგებს ლიგის თასს
„ლივერპულის“ შემადგენლობაში 350-ზე მეტი შეხვედრა ჩაატარა
ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 22 შეხვედრა

ლაუდრუპი, არკონადა და რეალი



ცნობილმა ესპანურმა საფეხბურთო ჟურნალმა DON BALON ბოლო 25 წლის განმავლობაში პრიმერა დივიზიონში მოთამაშე საუკეთესო უცხოელი და ესპანელი ფეხბურთელები დაასახელა — მიქაელ ლაუდრუპი და ლუის არკონადა.

აწ უკვე ფეხბურთიდან წასულმა დანიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა, რომელიც ორივე ესპანური გრანდის — „ბარსელონას“ და მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავდა, ისეთ დიდ მოთამაშეებს აჯობა, როგორებიც არიან იოჰან კრუიფი, რომარიო, უგო სანჩესი და რონალდო.

რაც შეეხება წარსულში „სოსიედადის“ შესანიშნავ მეკარე ლუის არკონადას, მასთან ვერც ერთი ესპანელი ფეხბურთელი ახლოსაც ვერ მივიდა.

საუკუნის ბოლო მეოთხედის უძლიერეს ესპანურ კლუბად ჟურნალმა მადრიდის „რეალი“ მიიჩნია.

ჰართსონის ორი რეკორდი

წლეულს უელსის ეროვნული გუნდის თავდამსხმელმა ჯონ ჰართსონმა ორი რეკორდის დამყარება მოასწრო. პირველად ნაახალწლევს, როდესაც „უიმბლდონმა“ „ვესტ ჰემს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ თავის ისტორიაში სარეკორდო თანხა 7,5 მილიონი გირვანქა ანუ 12,3 მილიონი დოლარი გადაუხადა, მეორედ კი ორშაბათს — შარშან სექტემბერში, „ვესტ ჰემის“ ერთ-ერთ ვარჯიშზე, ებრაელ თანაგუნდელ ეიალ ბერკოვიჩის ცხვირ-პირის დასისხლიანებისთვის ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ჰართსონს ყველაზე სოლიდური ჯარიმა 20 ათასი გირვანქა (32790 დოლარი) გადაახდევინა და სამმატჩიანი დიკსვალიფიკაციაც მიუსაჯა, რომელიც 15 თებერვალს ამოქმედდება. თუმცა მანამდე ჰართსონს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც აქვს.

უელსელ ფორვარდამდე აგრესიულობის მხრივ ასევე უიმბლდონელი ვინი ჯოუნზი და „არსენალის“ ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა „ლიდერობდნენ“. პირველი ძალიან ხშირად ჩხუბობდა და უხეშობდა, ხოლო ვიეირამ გასული წლის სექტემბერში „შეფილდ უენსდეისთან“ შეხვედრისას ისეთი უწმაწური სიტყვებით გამოლანძღა შეფილდელი ქომაგები, რომ მრავლისმნახველი ბრიტანელი ჩინოვნიკების აღშფოთებაც კი გამოიწვია.

დაზარალებული ბერკოვიჩი და მოძალადე ჰართსონი

პორტუგალია

XX ტური

გიმარაეში 3:3 სალგეირუში

1:0 ედმილსონი (3), 1:1 ფერნანდო ალმეიდა (16), 2:1 ჟილმარი (40), 3:1, რივა სილვა (61), 3:2 სელსო სილვა (84), 3:3 ფერნანდო ალმეიდა (90)

პორტუ	20	14	4	2	49:17	46
ბოავიშტა	20	13	5	2	35:17	44
ბენფიკა	20	13	4	3	42:14	43
სპორტინგი	20	10	7	3	39:18	37
ამადორა	20	9	6	5	23:21	33
უნიაუ	20	9	4	7	21:16	31
სალგეირუში	20	6	9	5	31:31	27
სეტუბალი	20	7	5	8	18:25	26
გიმარაეში	20	6	6	8	29:24	24
მარიტიმუ	20	5	7	8	24:25	22
ბრაგა	20	5	7	8	26:38	22
ფარენსე	20	6	4	10	16:28	22
ბეირა მარი	20	4	9	7	19:28	21
რიუ ავე	20	5	6	9	17:30	21
ალვერკა	20	4	8	8	17:27	20
შავეში	20	5	4	11	23:37	19
კამპომაიორენსე	20	5	3	12	22:35	18
აკადემიკა	20	3	4	13	20:40	13

საფრანგეთი

ლიგის თასის მერვედფინალი

მონაკო 0:0 (პენ.2:3) პსჟ

სარბიელი

სპორტული ლატარია “CROCO”

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩი

3 თებერვალი

მანჩესტერი — დერბი	1,3	4,0	7,5

ინგლისის თასის IV ეტაპი. გადათამაშება

3 თებერვალი

ჰადერსფილდი — რექსჰემი	1,35	3,8	7,0
ჩელსი — ოქსფორდი	1,05	8,0	14,0

ესპანეთის თასის მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

3 თებერვალი

დეპორტივო — სელტა	2,3	2,9	2,8
ბარსელონა — ბენიდორმი	1,05	8,0	14,0
ვალენსია — ლევანტე	1,1	6,0	12,0
ვილიარეალი — რეალი	3,5	2,8	2,0
ვალიადოლიდი — ესპანიოლი	1,9	2,8	3,8
რასინგი — ბილბაო	2,4	2,8	2,7
მალიორკა — ბეტისი	1,4	3,5	7,0

4 თებერვალი

ბარსელონა — ბენიდორმი	1,05	8,0	14,0

საფრანგეთის ლიგის თასის მერვედფინალი

3 თებერვალი

შატორუ (II) — მონპელიე	3,1	2,8	2,2
ამიენი (II) — ოსერი	4,2	3,2	1,7
მეცი — ლუანი (III)	1,1	6,0	12,0
ნიცა (II) — ტულუზი	2,5	2,9	2,5
რენი — ტრუა (II)	1,2	5,0	9,0

ჰოლანდიის თასის მერვედფინალი

4 თებერვალი

უტრეხტი — ფეიენოორდი	4,7	3,3	1,6
როდა — აიაქსი	3,8	3,1	1,8

თურქეთის თასის მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

3 თებერვალი

ანკარაგიუჯიუ — გაზიანთეფი	1,9	2,8	3,8
საქარია — ერზურუმი (15⁰⁰)	2,0	2,8	3,5
გალათასარაი — ისთანბული	1,3	4,0	7,5

ჰოკეი. NHL

3 თებერვალი

ბუფალო — კოლორადო	1,6	4,4	2,7
მონრეალი — ვანკუვერი	1,6	4,4	2,7
ვაშინგტონი — ტამპა ბეი	1,25	4,4	4,4
კაროლინა — ნიუ ჯერსი	2,0	4,4	2,0
ფლორიდა — ტორონტო	2,1	4,4	1,9
დეტროიტი — აილენდერსი	1,25	4,4	4,4
ედმონტონი — ოტავა	2,0	4,4	2,0
ანაჰაიმი — ჩიკაგო	1,6	4,4	2,7

4 თებერვალი

ბოსტონი — აილენდერსი	1,3	4,4	4,0
რეინჯერსი — ვანკუვერი	1,4	4,4	3,4
ფილადელფია — მონრეალი	1,2	4,4	5,0
სენტ ლუისი — ნიუ ჯერსი	2,1	4,4	1,9
კალგარი — ნეშვილი	1,8	4,4	2,2
ფინიქსი — სან ხოსე	1,25	4,4	4,4
ლოს ანჯელესი — ჩიკაგო	1,7	4,4	2,4

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გმადლობთ, მაგრამ ბოდიში...

ცაბაძე უთასოდ დაგვირჩა

ინვრის ბოლო დღემ კონფერენციათა თასის გათამაშების ფინალისტები გაარკვია. საშუალოდ, მთ შორის არაა ლევან ცაბაძის „ნარბონი“, რომელმაც კლერმონფერანში წაგო. ეს მატჩი 10 ივნისს უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო გადადო, კვირას კი „მონფერანმა“ 27:21 მოიგო. მატჩის გმირი მასპინძელი ჟერალდ მურსერონი შეიქნა, რომელმაც გუნდს 24 ქულა შესძინა. დარჩენილი 3 ქულა კი ნიკოლა ნადაუს ანგარიშზეა. საერთოდ კი, მასპინძლებმა იმ დღეს შესანიშნავად იბურთავეს (ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის) და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ძნელი სათქმელია, რომ 10 ივნისს „ნარბონი“ უეჭველად გაიმარჯვებდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს თამაში გუნდის კრიზისს დამთხვა, როცა მან ჩემპიონატის რამდენიმე შეხვედრაც წაგო.

თავად ცაბაძემ მატჩს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ საფრანგეთში სტუმრად მოგება ძნელია და ამ ქვეყნის სამ ჯგუფად დაყოფილი ჩემპიონატის აბსოლუტურ ლიდერთან სასწაული ვერ მოვახდინეთ. შეხვედრას ჩვენი ნაკრების ყოფილი კაპიტანი დიმა ობოლაძეც ესწრებოდა, რომელმაც ჩვენი თამაშის გამო აღფრთოვანება ვერ დამალა, მატჩის შემდეგ კი მწვრთნელმა პიერ ბერბიზიემ, რომელიც სიმკაცრითა და სიტყვაძუნწობითაა ცნობილი, გასახდელში კარგი თამაშისთვის მადლობა გადაგვიხადა. ასეთი რამ მან აქამდე მხოლოდ ერთხელ — ჩემპიონატის მატჩში „ბარიცთან“ გააკეთა“.

თუმცა სიტყვები სიტყვებად რჩება, მთავარი კი შედეგია, რომელმაც ევროთასებზე მოასპარეზე ერთადერთ ქართველ ლეგიონერს ხელი მოუცარა. ჩვენ კი ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, ლევანმა მთელი შეხვედრა შეუცცლელად რომ ჩაატარა. საერთოდაც, ის მყარად დამკვიდრდა გუნდის ძირითადში. რუმინეთთან ავადმოსაგონარი მატჩის შემდეგ ცაბაძემ ყველა შეხვედრაში ითამაშა, თანაც სულ ძირითადში, ოღონდ ეგაა, ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. საქმე ისაა, რომ ლევანს მალის დაზიანების გამო რამდენიმე წელიწადია, წელის ტკივილები აწუხებს.

„მონფერანის“ მეტოქე ფინალში, რომელიც 27 ან 28 თებერვალს გაიმართება, თვისტომთა „ბურგონი“ იქნება. საამისოდ ბურგონელებს „ბრივის“ წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდათ — 26:23.

ბორვღალონსებს რაც შეეხებათ, უელსში წარუმატებელი თამაშის მერე, გუშინ გამთენიისას ქართველი მორაგბეები სამშობლოს დაუბრუნდნენ და მცირეხნიანი შესვენების შემდეგ, 6 მარტს ტონგასთან დასაპირისპირებლად დაიწყებენ მზადებას.

ირაკლი თავაძე

NHL ნოკაუტი საჩუქრად

1 თებერვალი

ნიუ ჯერსი — დეტროიტი 2:2

1:2 1:0 0:0 0:0

1:0 სიკორა 3'01 (14); 1:1 უორდი 8'01 (3); 1:2 კოზლოვი 10'00 (11); 2:2 ოდელეინი 37'31 (2)

სახელოვანი დეტროიტელი მცველის ლარი მერფის კარიერაში 1446-ე მატჩი (რომელშიც მერფიმ მცველთა შორის ტიმ ჰორტონის რეკორდი გაიმეორა) მისთვის მეტად უიღბლო გამოდგა. ნიუჯერსელმა „პოლიციელმა“ კშიშტოფ ოლივამ იგი ისე მიაჭყლიტა ბორტს, რომ მერფი ოთხი წუთის განმავლობაში ყინულზე უგონოდ იწვა. სტუმარი რომ აზარალეს, ამისთვის მასპინძლები ასე დაისაჯნენ — მეორე პერიოდში ნიუჯერსელ კევინ დინს გული შეუწუხდა და საავადმყოფოში გააქანეს.

ფილადელფია — ლოს ანჯელესი 4:2

2:1 1:0 1:1

1:0 დეჟარდენი 3'08 (10); 2:0 ზელეპუკინი 8'35 (9); 2:1 ფერარო 11'19 (9); 3:1 ჯოუნსი 34'40 (13); 4:1 ლინდროსი 53'39 (27); 4:2 ოდეტი 59'12 (6)

ედმონტონი — სენტ ლუისი 3:4

0:2 0:1 3:0 0:1

0:1 ტარჯონი 14'18 (14); 0:2 ჰანდზუსი 14'54 (3); 0:3 იანგი 34'23 (11); 1:3 რეირდენი 47'54 (2); 2:3 ნიინიმა 49'09 (3); 3:3 სმიტი 58'37 (7); 3:4 ტარჯონი 60'35 (15)

სან ხოსე — ჩიკაგო 5:1

1:0 1:0 3:1

1:0 ფრიზენი 0'55 (13); 2:0 ფრიზენი 39'29 (14); 3:0 მერფი 47'41 (12); 3:1 მორო 49'02 (8); 4:1 შტურმი 50'18 (12); 5:1 კოროლიუკი 59'19 (3)

სან ხოსე 24 თებერვლამდე შინ არ დაბრუნდება და კლუბის ისტორიაში სარეკორდო, 10-მატჩიან სერიას ჩაატარებს.

რეინჯერსი — ვაშინგტონი 1:3

0:1 1:1 0:1

0:1 კონოვალჩუკი 2'45 (9); 1:1 ფედიუკი 26'10 (1); 1:2 ჟიუნო 26'35 (9); 1:3 ბონდრა 57'00 (17)

დალასი — კალგარი 2:2

1:0 1:0 0:2 0:0

1:0 ნუინდაიკი 12'43 (11); 2:0 ლეპტინენი 22'56 (16); 2:1 ჰალსი 53'32 (2); 2:2 მორისი 58'18 (6)

ვანკუვერი — ოტავა 0:1

0:1 0:0 0:0

0:1 მარტინსი 14'31 (4)

სამეელ ღარიბიანი

სატურნირო ვითარება

ჩრდილო-აღმოსავლეთი

ოტავა	48	27	6	15	144:107	60
ტორონტო	48	28	3	17	157:142	59
ბუფალო	46	24	8	14	126:92	56
ბოსტონი	47	20	8	19	119:108	48
მონრეალი	50	18	8	24	113:131	44

სამხრეთ-აღმოსავლეთი

კაროლინა	49	23	8	18	127:118	54
ფლორიდა	47	18	12	17	117:124	48
ვაშინგტონი	47	17	4	26	110:129	38
ტამპა	48	11	4	33	98:166	26

ატლანტა

ფილადელფია	48	27	11	10	152:96	65
ნიუ ჯერსი	48	27	6	15	139:123	60
პიტსბურგი	45	23	7	15	141:123	53
რეინჯერსი	49	19	7	23	127:133	45
აილენდერსი	49	15	4	30	116:150	34

ცენტრი

დეტროიტი	49	24	4	21	143:128	52
სენტ ლუისი	46	19	9	18	125:117	47
ნეშვილი	49	18	4	27	113:156	40
ჩიკაგო	49	14	8	27	110:155	36

წყნარი ოკეანე

დალასი	47	30	8	9	141:96	68
ფინიქსი	46	25	9	12	125:97	59
სან ხოსე	48	16	12	20	110:115	44
ანაჰაიმი	48	17	9	22	118:119	43
ლოს ანჯელესი	49	17	4	28	117:135	38

ჩრდილო-დასავლეთი

კოლორადო	48	25	4	19	129:118	54
ედმონტონი	47	19	7	21	133:124	45
ვანკუვერი	48	16	6	26	120:142	38
კალგარი	49	16	6	27	124:150	38

ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 67 (20+47); ლინდროსი 66 (27+39), ლეკლერი (ორივე ფილადელფია) 63 (31+32); კარია (ანაჰაიმი) 62 (20+42); ფორსბერგი (კოლორადო) 57 (15+42); იაშინი (ოტავა) 56 (22+34); ფლერი (კალგარი) 54 (24+30); სელიანე (ანაჰაიმი) 54 (22+32); საკიკი (კოლორადო) 53 (23+30); სტრაკა (პიტსბურგი) 51 (17+34); მოდანო (დალასი) 51 (17+34)

უილიამს ძველი დიდება აღუდგებს

ფრენკ უილიამსის გუნდი 80-90-იანი წლების ფორმულა 1-ის გრანდთაგანია. შარშანდელი „დამუხრუჭების“ შემდეგ (ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ უილიამსელებმა ვერც ერთ ეტაპზე ვერ გაიმარჯვეს), რაც შასის მოუწესრიგებლობით იყო გამოწვეული, გუნდი კვლავაც უმაღლესი ტიტულის მოსაპოვებლად ემზადება. საჯინიბოსთვის დიდი დანაკლისი იყო კონსტრუქტორ ედრიან ნიუის წასვლა, რამაც თავისი დაღი დაატყო „უილიამსის“ წინა მოდელს. წლეულს პატრიკ ჰედის, გეგინ ფიშერის და ჯეფ უილისის მეცადინეობით სრულიად ახალი ბოლიდი შეიქმნა, რომელზეც 9 თვის განმავლობაში მუშაობდნენ. გუნდის შეფის ფრენკ უილიამსის აზრით, ამ მოდელს შეუძლია გამარჯვებისთვის ბრძოლა.

მართლაც: კონსტრუქციაში ბევრი რამ რადიკალურად შეიცვალა, გადაისინჯა აეროდინამიკა, გაუმჯობესდა მექანიკური ნაწილი. როგორც სხვა გუნდებისა, „უილიამსის“ ბოლიდიც მორგებულია ახლებურ წინა საბურავებზე, აღჭურვილია პილოტის დამცავი მოწყობილობებით, მოსახსნელი საკვარძლით, სპეციალური თასმებით, რათა ავარიის შემთხვევაში ბორბლები არ მოსძვრეს ბოლიდის კორპუსს.

„უილიამსი“ ერთად-ერთი გუნდია მოწინავეთა შორის, რომელმაც სრულად განაახლა თავისი შემადგენლობა. ინდიკარიდან ფორმულას დაუბრუნდა ალექს ძანარდი, რომელიც პირველ რბოლებს ალბათ ახალ სიტუაციასთან შეგუებას მოანდომებს. ამერიკის კონტინენტზე დიდი წარმატებების მიუხედავად, სათუოა, იტალიელმა ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლა მოახერხოს.

„რკინის ფრენკმა“ ფრენცენი რალფ შუმახერში გაცვალა, ამით ახალგაზრდა და სწრაფი პილოტი მოიპოვა და თანაც მომავალ პარტნორ BMW-ს (ეს ფირმა 2000 წლიდან ძრავებს მიაწვდის) ასიამოვნა. რალფმა ორი სეზონი გაატარა ფორმულა 1-ში, მაგრამ მაინც აკლია გამოცდილება და მასაც სჭირდება დრო ახალი ტექნიკის ასათვისებლად.

თავად პილოტები კი ასე ახასიათებენ მომავალ სეზონს:

ძანარდი — „დიდი სურვილი მაქვს, გავიმარჯვო, ვიცი, ძნელი იქნება ფორმულა 1-თან შეწყობა, მაგრამ თანდათან ვუახლოვდები იმ დონეს, რომლითაც პირველ რბოლებს მინდა შევხვდე.

რ. შუმახერი — „ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, შარშანდელი ბოლიდი გამოვცადე და ვიცი, რისი გამოსწორებაა საჭირო“.

გუნდმა პრეზენტაცია ბარსელონაში მოაწყო და იქვე შეუდგა ტესტირებასაც. პირველი დღეების შემდეგ ძანარდი 1-1,5 წამს აგებდა ჰაკინენთან, რომლის გუნდსაც ჯერ ახალი ბოლიდი არ წარმოუდგენია, რალფმა კი მოახერხა და 0,1 წამით მიუახლოვდა ფინელს, თუმც კი ორი დღის ჯამში მაინც 1 წამით ჩამორჩა მიკას საუკეთესო დროს. ჩემპიონატის დაწყებამდე კიდევ ერთი თვეა, ასე რომ, უილიამსელები ალბათ მოახერხებენ ბოლიდის მორჯულებას და ალბათ ჩემპიონატშიც გარკვეულ წარმატებასაც მიაღწევენ. მაგრამ ძველი დიდების დასაბრუნებლად მძიმე ბრძოლა მოუწევთ.

ალეკო ჭაბუკიანი

უილიამს გრან პრი ენჯინერინგ



ალესანდრო ძანარდი
იტალია
დაიბადა 1966 წლის 23 ოქტომბერს, ბოლონიაში, იტალია
ცხოვრობს მონტე კარლოში
დებიუტი ფორმულა 1-ში 1991, „ჯორდანი“
25 რბოლა, 1 ქულა
CART-ის სერიის ჩემპიონი 1997, 1998

WILLIAMS GRAND PRIX ENGINEERING

გუნდის მფლობელი ფრენკ უილიამსი
ტექნიკური დირექტორი პატრიკ ჰედი
შასი — უილიამს FW21
ძრავა — სუპერტეკი
საბურავები „ბრიჯსტოუნი“
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1973 (არგენტინა)
361 სტარტი, 103 გამარჯვება, 108 პოული, 110 სწრაფი წრე 1948,5 ქულა
მსოფლიოს ჩემპიონი კონსტრუქტორთა შორის — 9 (1980, 81, 86, 87, 92, 93, 94, 96, 97)
მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში — 7 (1980, 82, 87, 92, 93, 96, 97)

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

რალფ შუმახერი
გერმანია
დაიბადა 1975 წლის 30 ივნისს, ჰიურტში, გერმანია
ცხოვრობს კერპენში, გერმანია
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1997, „ჯორდანი“
33 რბოლა, 27 ქულა
1996 წლის ნიბონ F-3000 ჩემპიონი

„უილიამსის“ ახალი წყვილი ახალი ბოლიდით

ფოტო: ეროვნული

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲚᲘᲜᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

სტუ — თსუ. უცენტროდ დარჩენილ თსუელებს ოდისეი დიმიტრიადი (ბურთით) გაუძღვა

ᲗᲡᲣ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲨᲘ ᲓᲐᲘᲩᲐᲒᲠᲐ

2 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
12 ტური

სტუ 103:94 თსუ

I ტაიმი 44:51

სტუ: მოისწრაფიშვილი (12), ჩერქეზიშვილი (6), ცხვედიანი (8), მინაშვილი (17), ოთიურიძე (31); ტულუში (9), გ. გაგნიძე (4), ლოსაბერიძე (6), ნაცვლიშვილი (6), ცქიტიშვილი (4)

თსუ: ვეფხვაძე (4), წოწელია (29), დიმიტრიადი (30), მარკოიშვილი (11), არსიაშვილი (18); ნინოშვილი (2), ქარჩავა

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: აკაკი მეგრელაძე

სულ ახლახან ტანმაღალი მოთამაშეებით დაკომპლექტებული თსუ-სი ბევრ კლუბს შეშურდებოდა. ახლა კი სტუდენტური გუნდის ბედს მტერსაც არ ვუსურვებთ. სადღაა ერთ დროს სიმაღლით ქებული ტანდემი: მოგეხსენებათ, ცქიტიშვილი გუშინდელ მეტოქეს შეუერთდა, არც არჩილ ხელაშვილი ჩანდა (როგორც ამბობენ, მას წინა შეხვედრაში დელეგატთან შეკამათების გამო ფედერაცია სამი მატჩით დისკვალიფიკაციას ჰპირდებაო).

მაშ ასე, ერთი მხრივ, თავის უპირატესობაში დარწმუნებული სტუ და მეორე მხრივ, მხოლოდ თავგამოდების იმედად მყოფი თსუ. მატჩი დაიწყო და მეტოქეთა ტაქტიკური ჩანფიქრიც ნათელი გახდა. სტუ მეტოქის წელში გატეხვას შორი სროლებით ლამობდა, თანაც ფარზეც ხომ მაღლები ეგულებოდა. თსუ კი ზონურ დაცვას მიმართავდა და შეტევაში აქცენტს ახლო მანძილიდან სროლებზე აკეთებდა. მოწინააღმდეგეთა ჩანაფიქრი მართებული იყო, მაგრამ ეს ერთია და შესრულება მეორე. - ტექნიკური უნივერსიტეტის მოთამაშეები მოიკოჭლებდნენ, არც სამიანები წაუვიდათ და ვერც ფარს აკონტროლებდნენ. მათგან განსხვავებით, მეტოქე სტუდენტები საჰაერო დუელებშიც ყოჩაღობდნენ და შეტევებშიც ხეირობდნენ. ამ მხრივ გამოსარჩევი იყო ცენტრის ამპლუაში ახლახან გამწესებული არსიაშვილი, რომელიც ერთი თავით მაღალ ოთიურიძეს იოლად უსხლტებოდა და ბურთსაც უპრობლემოდ ათავსებდა კალათში. მისი წყალობით თსუ თავიდანვე დაწინაურდა და თამაშის დაწყებიდან 5 წუთის შემდეგ ანგარიშიც მიჰყავდა 17:10. სტუ კვლავინდებურად თავისი ტაქტიკური სქემის განხორციელებას ცდილობდა, მაგრამ არ გამოსდიოდა, თანაც მოთამაშეებმა დაჯარიმებასაც უმატეს, რის შედეგადაც 7 გუნდურს უმალ გამოჰკრეს ხელი. თუმცა არც მეტოქენი ჩამორჩნენ და მათაც მალევე დაუგროვდათ 7 გუნდური. ჯარიმათა შესრულებაში კი სტუელები უფრო ზუსტები იყვნენ და ანგარიშში სხვაობაც მცირდებოდა.

ბოლო სამ წუთში მეტოქეები ერთობ გაფიცხდნენ. სტუ-მ ნაცად პრესინგს მიმართა და კონტრიერიშებზე ააგო თამაში. მას არც თსუ ჩამორჩა და ანგარიშსაც ზრდიდა. ეს მეტად თვალსაჩინო სანახაობა იყო და მაყურებელიც გვარიანად გამოაცოცხლდა. საბოლოოდ ორივე გუნდის მხარდამჭერთა ტაში წოწელიამ დაიმსახურა, რომელმაც ბურთი საკმაოდ შორიდან ზუსტად ისროლა და პირველ ტაიმსაც წერტილი დაუსვა.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე სტუ-მ ხელი გამოიღო და სამ წუთში სხვაობა ქულამდე დაიყვანა. შეფიქრიანებულ თსუელებს აღელვება დაეტყოთ და ფუჭ შეტევებსა თუ გარბენებს უმატეს. თანაც ჯარიმებსაც არ ერიდებოდნენ, რაც სათადარიგო სკამის გამო მათთვის დამღუპველი იყო. თუ აქამდე სტუ ცენტრებს დიდად ვერ იყენებდა, ახლა ოთიურიძე-მინაშვილის შეჭერება საძნელო საქმე შეიქნა. მათ მონდომებას ჩერქეზიშვილის გარჯაც დაერთო და ტაიმის შუაწელში სტუ დაწინაურდა 65:68. აქამდე თავგამოდებით მებრძოლი თსუ დაიღალა, ჯარიმებიც მოეძალა და წამყვან მოთამაშეებს — მარკოიშვილს, არსიაშვილს, ვეფხვაძეს და წოწელიას 3-3 პერსონალური დაუგროვდათ. მათ ერთდროულად შეცვლა-დასვენებას ნოდარ ქორქია სათადარიგოთა სიმცირის გამო ერიდებოდა. მისგან განსხვავებით, ოქრუაშვილმა 4 პერსონალურმიღებული ჩერქეზიშვილი უმალ შეცვალა, რათა გამოცდილი უკანასკნელი მატჩის ბოლომდე შეენარჩუნებინა.

სტუ-ს თავკაცს არც მეტოქის არევ-დარევა გამოპარვია. მან შეგირდებს მოწინააღმდეგის კონტრიერიშებზე გამოჭერა და სწრაფი ტემპით გარჯა მოსთხოვა. მათაც არ დააღალატეს მწვრთნელი და ერთიორად ამოქმედდნენ. ეს ანგარიშსაც დაეტყო. 80:79 — წინ სტუ-ა.

თავის მხრივ, არც თსუ-ს მწვრთნელი ეგუებოდა ბედს. მან თავისი გუნდის თამაშის დასალაგებლად ზედიზედ 2 წუთშესვენება აიღო და თითქოს საქმეც გამოასწორა, მაგრამ... ვეფხვაძის ხუთმა პერსონალურმა ხუთეული ისევ მოშალა. მართალია, გამთამაშებლის პრობლემა ამ გუნდს არ აქვს, მაგრამ დიმიტრიადის ზემოთ ამოწევამ თავდასხმა შეასუსტა, თანაც არსიაშვილი ძველებურად ვეღარ მარჯვობდა. თსუ-ს ერთადერთი იმედი კვლავაც წოწელია და მისი სამიანები იყო, თუმცა მასაც 4 პერსონალური ჰქონდა და დაცვაში ფრთხილობდა. ყოველივე ამის გამო თსუ-ს ანგარიშში 10-ქულიანი სხვაობის აღმოფხვრა მეტად გაუჭირდა.

სტუ კი გამარჯვებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა. რიგ-რიგობით აწიოკებდნენ მოწინააღმდეგეს და მათ წარმატებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა.

ᲐᲩᲘᲙᲝ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲖᲝᲢᲛᲐ ᲝᲤᲚᲘ ᲛᲝᲘᲓᲘᲜᲐ

2 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
12 ტური

ასკ 77:87 აზოტი

I ტაიმი 27:37

ასკ: ჩხაიძე (17), ჭყონია (5), გელაშვილი (2), ფსუტური (12), ნუცუბიძე (6); ალავიძე (6), პაპასკირი (6), ნათაძე (8), აკოლაშვილი (15)

აზოტი: ჟღენტი (11), გაბისონია (11), გოგობერიშვილი (23), ბერუაშვილი (10), ჯაფარიძე (21); ბაბიაშვილი (10), გოგოლაძე, ჩაჩუა, კოჭლამაზაშვილი, ბარამიძე (1), ჯიმშელეიშვილი

მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, ზაზა მაჩალაძე

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

ᲕᲘᲜ გააჩერებს „აზოტს“? აი, კითხვა, რომელიც კალათბურთის გულშემატკივრებს აჰკვიატებია და არცთუ უსაფუძვლოდ, რუსთაველები ხომ თორმეტი ტურის შემდეგ კვლავაც დაუმარცხებელნი არიან და გათამაშების ცხრილშიც ერთპიროვნულად ლიდერობენ. ეგ კი არა, მათი თამაშის შემხედვარე იმასაც იფიქრებ, ვიცე-ჩემპიონები დედაქალაქს მხოლოდ იმიტომ ჩამოდიან, ზოგ-ზოგიერთებს ორმოცწუთიანი გაკვეთილები რომ ჩაუტარონო. ჩამოვლენ, გაბურდებიან, პატარა ოფლს მოიდენენ (ხშირად არც კი) და მხიარულნი, თანაც ორი ქულით ხელდამშვენებულნი მიეშურებიან უკან. აგაშენა ღმერთმა.

ყოველივე ზემოთქმული რაზეც მიგანიშნებს, ყველამ კარგად უწყის. ის რომ ეროვნული ჩემპიონატი ვერაფერიშვილი სანახაობაა და არც მონაწილე გუნდების თანაბარძალიანობით გამოირჩევა. რა ქნას „აზოტმა“? ეს რომ ერთ კაცზე იყოს დამოკიდებული, ნაცნობ სურათს წავაწყდებოდით. ადგებოდა და იტყოდა, ეს დონე აღარ მაკმაყოფილებს და ახლა უცხოეთს უნდა გავწიო, იქ უნდა მოვსინჯო ძალები, მაგრამ ჩვენ ხომ პიროვნებაზე კი არა, გუნდზე ვსაუბრობთ. ჰოდა, ამოვიგდოთ თავიდან სისულელეები. „აზოტი“ ფეხს ვერსად მოიცვლის.

სიტყვა გაგვიგრძელდა, თავად შეხვედრაზე კი ჯერაც არაფერი გვითქვამს. ერთს მოგახსენებთ — რაზეც თავში ვისაუბრეთ, არ გამართლდა, ანუ რუსთაველთა მორიგი წავარჯიშება ვერ ვიხილეთ. არმიული კლუბი მედგრად დაუხვდა მომხვდურებს და გვარიანი ოფლიც აღვრევინა.

არადა, საწყისი წუთები ასკ-ს კარგს არაფერს უქადდა. ორჯერ აჩიკო ულეტმა და ერთხელ მიხეილ ბერუაშვილმა წინ გაიყვანეს თავისიანები 6:0. ცაგარეიშვილმა დროული წუთშესვენება ითხოვა, შეგირდებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და მეტი აქტიურობა მოსთხოვა, მოედანზე დაბრუნებულმა არმიელებმა უმალ ორი ქულა მიითვალეს. მათი ლიდერობა მამუკა ჩხაიძემ იკისრა და სულ მალე ქულალა აშორებდათ მეტოქეს 14:13, საიდანაც ცხრა სწორედ ჩხაიძის ანგარიშზე მოდიოდა. „აზოტმა“ ეს ვერ იგუა და გააფთრებით შეუტია, ამას ხისტი დაცვაც დაურთო და შედეგმაც არ დააყოვნა — ჯაფარიძე და გოგობერიშვილი რიგ-რიგობით აგროვებდნენ ქულებს, მეტოქეს კი ექვსი (!) წუთის მანძილზე ქულაც არ დაანებეს. ანგარიშიც თვალშისაცემი გახდა 31:13 — წინ „აზოტი“.

მოპოვებული უპირატესობა ხმელიძემ საკმარისად ჩათვალა და თამაშში ახლა სათადარიგოები ჩააბა. ამით გადიდგულებულმა არმიელებმა ძალა მოიკრიბეს და ტაიმის ბოლოს სხვაობა ათ ქულამდე შეამცირეს.

მეორე ნახევარი „აზოტმა“ ზედმეტად თავდაჯერებულმა დაიწყო, რაც ასკ-მ არ აპატია — აკოლაშვილის, ჩხაიძის და ნუცუბიძის აქტიურობის შედეგად ანგარიში გათანაბრდა 42:42. არმიელებს რამდენჯერმე დაწინაურებაც შეეძლოთ, მაგრამ რუსთაველმა ზაზა გაბისონიამ გამოიდო თავი, რომელიც დაცვაში ჩინებული თამაშით გამოირჩა და მეტოქე მცველები უყურადღებობისთვის ორჯერ ზედიზედ ზუსტი სამიანითაც დასაჯა. საწინააღმდეგო მხრიდან ფსუტური გააქტიურდა და მისი ძალისხმევით კვლავ აღდგა თანაფარდობა 52:52. თამაშის დამთავრებამდე ათი წუთიღა რჩებოდა. „აზოტი“ ანერვიულდა. ეს თითქოს მსაჯებსაც გადაედოო და მათ მომდევნო ორწუთეულში ხელიდან გაექცათ მატჩის სადავეები — აქეთიქით არაერთი შეცდომა გაეპარათ, რამაც, ბუნებრივია, შეხვედრას სანახაობრიობა დაუკნინა. ვნებათაღელვას არმიაც გამოეპასუხა, რამაც საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვანწილად იმოქმედა. ბევრად გამოცდილმა რუსთაველებმა თამაში დააშშიდეს და მეთოდურად შეუდგნენ მეტოქის დაწიოკებას. გუნდის გაძღოლა რამაზ გოგობერიშვილმა ითავა და წარმატებითაც გაართვა ამას თავი. მისი და ჯაფარიძის მონდომება ქულათა სხვაობაზეც აისახა. „აზოტი“ ერთხანს ჩვიდმეტი ქულითაც კი „გაექცა“ მეტოქეს, თუმცა საბოლოოდ ათსღა დასჯერდა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲘᲗᲐᲛ ᲡᲓᲐᲡᲣ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ

2 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
12 ტური

ვითა 86:74 სდასუ

I ტაიმი 39:38

ვითა: აბრამიძე (16), დავითულიანი (27), ჩუბინიძე (9), ორმოცაძე (10), ახალკაცი (15); კოკოლიშვილი (3), კორძაძე (6)

სდასუ: თორთლაძე (8), უძილაური (26), გიგაური (10), გიგაშვილი (2), მაჭარაძე (8); ხარაძე (5), ორჯონიკიძე (2), არჩვაძე (4), ქევხიშვილი (9), აბულაძე

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

დელეგატი: მურმან ქურიძე

ᲒᲣᲨᲘᲜ ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში მრავლად შეიკრიბნენ კალათბურთის გულშემატკივრები. მიზეზი ექვსგზის ჩემპიონ „ვითასა“ და ბოლო ხანს საგრძნობლად მოძლიერებული სდასუ-ს შეხვედრა იყო.

პირველი შეტევა „ვითამ“ წამოიწყო, აბრამიძემ ააცილა და სდასუ-მ საპასუხო შეტევა განახორციელა — უშედეგოდ. გუნდებმა რამდენიმე უსარგებლო შეტევა გაცვალეს და ხშირად თავდასხმაშიც სცოდავდნენ. ჩემპიონებმა ზონურ დაცვას მიმართეს, რამაც ნაყოფი გამოიღო — „ვითა“ დაცვიდან უმალ კონტრშეტევებზე გადადიოდა და ამიტომაც იყო, რომ ანგარიში მხოლოდ მესამე წუთზე გახსნა დავითულიანმა. სდასუ დაბნეული ჩანდა და ხშირად სცდებოდა. ჩუბინიძის ორ ქულას ახალკაცის კარგი თამაში მოჰყვა და 6:0, ჩემპიონი დაწინაურდა. ამის შემდეგ სტუდენტებმა თამაში დაალაგეს. მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ შოთა უძილაურმა სამქულიანი ჩააგდო. „ვითას“ შეცდომა და იმავე უძილაურმა ანგარიში გაათანაბრა 6:6. შეხვედრის დებიუტში საუკეთესო შოთა უძილაური იყო, მისი მესამე სამიანიც და სდასუ წინ გადის, თუმცა დროებით. ახლა აბრამიძემ გამოიჩინა თავი. მატჩის მე-8 წუთზე სდასუ-ს უკვე 7 გუნდური ჯარიმა ჰქონდა, რაც, ბუნებრივია, „ვითას“ წისქვილზე ასხამდა წყალს. გუნდები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ, თამაში ქულა-ქულაზე მიდიოდა. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმის შუაგულში ანგარიში მეტად მცირე იყო 15:14 სდასუ-ს სასარგებლოდ.

მესამე შენიშვნა მიიღო შოთა მაჭარაძემ და მის მაგივრად მოედანზე ლევან ქევხიშვილი გამოჩნდა. იგი კარგად ჩაერთო თამაშში, პირველივე მიღებული ბურთი მოათავსა „ვითას“ კალათში. ამის შემდეგ თამაში გაიხსნა. ანგარიში კი უძილაურის წყალობით კვლავ სდასუ-ს მიჰყავდა. შეხვედრის პირველ ნახევარში შოთამ ხუთი სამიანი ჩააგდო. გუნდის ლიდერ დავით თორთლაძეს სროლა არ წაუვიდა და პარტნიორებს გააზრებული პასებით ამარაგებდა. „ვითა“ ძირითადად კონტრშეტევებით გადიოდა ფონს. დავითულიან-აბრამიძის წყვილმა რამდენჯერმე დალაშქრა მეტოქის კალათი და ჩემპიონიც წინ გაიჭრა. კარგად ირჯებოდა „ვითას“ ცენტრი გულივერ ახალკაცი, როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგის ფარქვეშ. ტაიმის მიწურულს ორმოცაძესთან ორთაბრძოლაში დაჯარიმდა ქევხიშვილი, ბურთიც მოათავსა და საჯარიმოც გამოიყენა. სდასუ მდევრის როლში აღმოჩნდა, თუმცა ფარ-ხმალი არ დაუყრია და პირველი ნახევრის დამთავრებამდე 10 წამით ადრე მაჭარაძემ მინიმუმამდე შეამცირა ანგარიშში სხვაობა 39:38.

მეორე ტაიმი „ვითას“ უპირატესობით დაიწყო. დავითულიანის შეჩერება გაძნელდა, თუმცა ამ უკანასკნელმა თავდასხმაში მეოთხე ჯარიმა მიიღო და მის მაგივრად მოედანზე კორძაძე შემოვიდა. აბრამიძის სამქულიანის შემდეგ „ვითა“ 4 ქულით დაწინაურდა. სდასუ-მ შეტევა ვერ გამოიყენა და ახალკაცის ორი ქულით დაისაჯა, მაჭარაძე კი აქვე მეოთხედ დაჯარიმდა. შეხვედრა კიდევ უფრო საინტერესო გახდა. სდასუ ანგარიშის შემცირებას ლამობდა. თორთლაძეს არც მეორე ტაიმში გაუღიმა ბედმა, მისი ნასროლი ბურთები ხშირად ცდებოდა მიზანს. ვითელმა კორძაძემ კი მალე ანგარიში კიდევ უფრო გაზარდა 58:50, თუმცა სდასუ არაფერს თმობდა. მოედანზე დუდუ ორჯონიკიძე დალადო აბულაძე შევიდნენ, დაცვაც გაამლიერეს და ჩემპიონის 8-ქულიანი სხვაობა ორწუთნახევრიან მონაკვეთში გიგაურის სამქულიანის შემდეგ მინიმუმამდე შემცირდა 60:59.

შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ახალკაცმა ითამაშა კარგად, ბურთიც ჩაადო და საჯარიმოც გამოიყენა, მერე ამას კიდევ ორი ქულა მიაყოლა და სდასუ წაგების რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. 6 წუთში თამაშის გადარჩენა მეტად საეჭვო გახდა, თანაც ისეთ მეტოქესთან, როგორიც „ვითაა“. თუმცა თორთლაძემ, როგორც იქნა, ნავსი გატეხა, შორიდან ჩაადო და ანგარიში 5 ქულამდე შეამცირა.

სდასუ-მ დაჯარიმებას უხშირა, თუმცა აქ ალეკო დავითულიანმა იყოჩაღა, რომელმაც ზედიზედ 6 პერსონალური ჩაადო და მეტოქეს საბოლოოდ გადაუწურა წარმატების იმედი.

ᲖᲣᲠᲐ ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ნბა 53-ე სეზონის წინ

ატლანტიკის დივიზიონი

5 თებერვალს ნბა-ს მორიგი სეზონი იწყება. პირველად ლიგის ისტორიაში ჩემპიონატი შეკვეცილი პროგრამით გაიმართება, რაც უკვე ისტორიას ჩაბარებული ლოკაუტის ბრალია.

გუნდებმა, ფაქტიურად, დაასრულეს სეზონისთვის მზადება. მოთამაშეები გაუშვეს და მიიღეს, თავისუფალ აგენტებთან კონტრაქტები გააფორმეს, საგამოფენო მატჩები ითამაშეს.

დღეს წარმოგიდგენთ ატლანტიკის დივიზიონის გუნდებში მომხდარ ცვლილებებს და მომავალ ჩემპიონატში მათ შანსებზეც მოგახსენებთ. მომდევნო „სარბიელებში" კი დანარჩენი დივიზიონების ამბებსაც მიმოვიხილავთ.



„ვაშინგტონ ვიზარდზი"
მიჩ რიჩმონდით გაძლიერდა



„ნიუ იორკ ნიქსს"
ლატრელ სპრიუელის იმედი აქვს

სპორტიელის არქივიდან

მაიამი ჰითი

 წინა სეზონი: 55 მოგება — 27 წაგება

ფლეი ოფი: 2:3 ნიუ იორკთან პირველ წრეში

მწვრთნელი: პატ რაილი (კარიერაში 914 მოგება — 387 წაგება)

მოვიდნენ: კლარენს ვეზერსპუნი (გოლდენ სტეიტიდან); ტერი პორტერი (მინესოტადან)

წავიდნენ: ბრენტ ბარი (ჩიკაგოში); ერიკ მერდოკი (ნიუ ჯერსიში); ანტონიო ლენგი (კლივლენდში)

სიძლიერე: მთავარი სიძლიერე გუნდის მწვრთნელი პატ რაილია, ვინც ორი წლის წინ მოვიდა გუნდში და „მაიამი" საშუალოზე სუსტი გუნდიდან აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად აქცია. გუნდს მხოლოდ სამი ვარსკვლავი: ცენტრი ალონზო მურნინგი, ფრთა ჯამალ მაშბურნი და გამთამაშებელი ტიმ ჰარდეევი ჰყავს, მაგრამ ესენი ლიგაში ბევრს არ ჩამოუვარდებიან თავთავიანთ ამპლუაში.

სისუსტე: ორი თვე ვერ ითამაშებს გუნდის ძირითადი მსროლელი ვოშონ ლენარდი. ეს მაშინ, როდესაც მისი შემცვლელი ბრენტ ბარი „ჩიკაგოში" გადაბარგდა. გუნდის წინა ხაზი (მურნინგი, ფი. ჯეი. ბრაუნი და ჯამალ მაშბურნი) არ არის იმ სიძლიერის, რომ უპრობლემოდ დაჩაგროს აღმოსავლური გრანდების თავდასხმის ხაზი. „მაიამი" აგრეთვე ვერ დაიკვეხნის მრავალფეროვანი სათადარიგო სკამით.

რას იზამენ: შეეცდებიან, შარშანდელზე მეტს მიაღწიონ.

ნიუ იორკ ნიქსი

წინა სეზონი: 43-39

ფლეი ოფი: 1:4 ინდიანასთან მეორე წრეში

მწვრთნელი: ჯეფ ვან განდი (კარიერაში 113-73)

მოვიდნენ: ლატრელ სპრიუელი (გოლდენ სტეიტიდან); მარკუს კემბი (ტორონტოდან); კურტ ტომასი (დალასიდან); დენის სკოტი (ფინიქსიდან)

წავიდნენ: ჩარლზ ოკლი (ტორონტოში); ჯონ სტარქსი, კრის მილზი, ტერი კამინგსი (ყველა — საკრამენტოში); ბაკ ვილიამსი (კარიერა დაასრულა)

სიძლიერე: ლატრელ სპრიუელის სახით ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი მსროლელი შეიძინა, რომელიც გაცდენილი შარშანდელი სეზონის შემდეგ შეეცდება ყველას დაუმტკიცოს თავისი სიძლიერე. „ნიუ იორკს" საკმაოდ ბევრი ვარსკვლავი ჰყავს, რომელთაგან სპრიუელი, პატრიკ იუინგი, ლარი ჯონსონი, ჩარლი უორდი და ალან ჰიუსტონი მძლავრ ხუთეულს შექმნიან. მარკუს კემბი, დენის სკოტი და კურტ ტომასი კი სათადარიგოთა სკამიდან შეეშველებიან გუნდს.

სისუსტე: შეიძლება პრობლემები შეექმნას ფარქვეშ, რადგან გუნდი დატოვა ბებერმა, მაგრამ ჯანიანმა თავდამსხმელმა ჩარლზ ოკლიმ. გუნდის მთავარ ცენტრს პატრიკ იუინგს კი მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს და არაა გამორიცხული ამან ბევრი თამაში გამოატოვებინოს. „ნიუ იორკს" კი ჰყავს ახალგაზრდა თავდამსხმელი მარკუს კემბი, რომელსაც გაჭირვების შემთხვევაში შეუძლია ცენტრის მოვალეობა გასწიოს, მაგრამ მისი ფიზიკური სისუსტე და ხშირი ტრავმიანობა შეიძლება დიდ პრობლემად იქცეს.

რას იზამენ: იბრძოლებენ ატლანტიკის დივიზიონის ჩემპიონობისთვის.

ნიუ ჯერსი ნეთსი

წინა სეზონი: 43-39

ფლეი ოფი: 0:3 ჩიკაგოსთან პირველ წრეში

მწვრთნელი: ჯონ კალიპარი (კარიერაში 69-95)

მოვიდნენ: ჯიმ მაკილვეინი (სიეტლიდან); ერიკ მერდოკი (მაიამიდან)

წავიდნენ: მაიკლ კეიჯი, დონ მაკლინი (ორივე — სიეტლში)

სიძლიერე: ფარქვეშ ბრძოლა. გუნდს ჰყავს უბადლო მომხსენელი ჯეისონ ვილიამსი, ვისაც წარმატებით შეეშველებიან კეიტ ვან ჰორნი, რონი საიკლი და კრის გეტლინგი. ასეთი ძლიერი წინახაზის პატრონ გუნდს არ უნდა გაუჭირდეს ფარქვეშ ნებისმიერი მეტოქის დაჩაგვრა. „ნიუ ჯერსის" შეემატა ექსსიეტლელი ცენტრი ჯიმ მაკილვეინი, რომელიც ქულების დაგროვებაში და მოხსნებში გვარიანად მოიკოჭლებს, მაგრამ დაფარება ეხერხება. „ნიუ ჯერსი" ვარსკვლავებს არც უკანა ხაზში მოისაკლისებს: კენდალ გილი, კერი კაიტლზი და სემ კასელი შორიდან დაბომბავენ მოწინააღმდეგის კალათს.

სისუსტე: ხშირი ტრავმიანობა. გუნდის ლიდერების ჯეისონ ვილიამსისა და სემ კასელის ტრავმები რომ არა, „ნიუ ჯერსის" შესაძლოა, არ წაეგო 0-3 მომავალ ჩემპიონ „ჩიკაგოსთან". კიდევ ერთი ლიდერი კერი კაიტლზი კი ერთი თვის განმავლობაში ვერაფრით დაეხმარება თავისიანებს მუხლის ტრავმის გამო. ქულსი აწუხებს სათადარიგო ცენტრ რონი საიკლის. „ნიუ ჯერსის", უფრო სწორად, მისი მწვრთნელის სისუსტეა ის, რომ ბევრი კარგი მოთამაშის ყოლის მიუხედავად არ ძალუძს სერიოზული მიზნებისთვის იბრძოლოს.

რა იზამენ: იბრძოლებენ ფლეი ოფში განთესვის მაღალი ნომრის მოსაპოვებლად.

ვაშინგტონ ვიზარდზი

წინა სეზონში: 42-40

ფლეი ოფი: ვერ მოხვდა

მწვრთნელი: ბერნი ბიკერსტაფი (კარიერაში 325-329)

მოვიდნენ: მიჩ რიჩმონდი, ოტის ტორპი (ორივე — საკრამენტოდან)

წავიდნენ: კრის ვებერი (საკრამენტოში); ჰარვი გრანტი (ფილადელფიაში)

სიძლიერე: გუნდი ახალ სეზონს მცირე, მაგრამ სერიოზული ცვლილებებით ხვდება. ახალგაზრდა კრის ვებერის ნაცვლად გუნდში ორი ვეტერანი — მიჩ რიჩმონდი და ოტის ტორპი მოვიდნენ. გუნდის მთავარი კოზირი სისწრაფეა. მსროლელი რიჩმონდი და თავდამსხმელი ჯუონ ჰოვარდი შეეცდებიან, არცთუ სახუმარო რაოდენობის ქულების დაგროვებას. ჰოვარდს ფარზე ტორპი შეეშველება. თუ კლუბმა მოახერხა გამთამაშებელი როდ სტრიკლენდის დატოვება, „ვაშინგტონს" სტრიკლენდისა და რიჩმონდის სახით ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი უკანა ხაზი ეყოლება.

სისუსტე: პრობლემები წინა ხაზში, შესაძლოა, უკანა ხაზშიც. გუნდს კვლავ არ ჰყავს ცენტრი, ასე რომ, ძლიერ გაუჭირდება მძლავრცენტრებიან გუნდთან ჭიდილი. უკანა ხაზის ლიდერი სტრიკლენდი არ ჩერდება გუნდში და თვალი გაქცევისკენ უჭირავს. ასე რომ, „ვაშინგტონს" ერთობ გაუჭირდება, თუ სტრიკლენდი უგანებს.

რას იზამენ: თუ სტრიკლენდი დარჩა, გუნდი ფლეი ოფისთვის იბრძოლებს.

ორლანდო მეჯიქი

წინა სეზონში: 41-41

ფლეი ოფი: ვერ მოხვდა

მწვრთნელი: ჩაკ დეილი (კარიერაში 605-420)

მოვიდნენ: აიზეკ ოსტინი (კლიპერსიდან); დუგ ოვერტონი (ფილადელფიიდან); მაიკლ დოლიკი, მეტ ჰარპრინგი (ორივე — დრაფტიდან)

წავიდნენ: დერიკ ჰარპერი (ლეიკერზში); კევინ ოლი (საკრამენტოში); კევინ ედვარდსი, დევიდ ბენუა, მარკ პრაისი (სამივე — უგუნდოდ)

სიძლიერე: ორლანდოელი ჯადოქრების მთავარი კოზირია ანფერნი ჰარდეევი, ვისაც გასული სეზონის უდიდესი ნაწილი გაუცდა და კლუბი პირველად ბოლო ხუთ სეზონში ვერ მოხვდა ფლეი ოფში. ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი უკანახაზელი ჰარდეევი შეეცდება, რაც შეიძლება მეტი ქულა დააგროვოს და იგი დიდ თავსატეხს გაუჩენს მეტოქეებს. მნიშვნელოვანი შენაძენია არცთუ მაღალი, მაგრამ ჯან-ღონით სავსე აიზეკ ოსტინი, რომელიც ცენტრის ადგილს დაიჭერს. გუნდი კვლავ აწარმოებს მოლაპარაკებას ექსჩიკაგოელ დენის როდმანთან და თუ წარმატებით მოაგვარა ეს საქმე, შეშლილი როდმანი მნიშვნელოვნად გააიოლებს ფარქვეშ მუშაობას.

სისუსტე: ანფერნი ჰარდეევის გარდა „ორლანდოს" არ ჰყავს ნამდვილი ვარსკვლავი. სასტარტო ხუთეული არათანაბარია. მარკ პრაისისა და დერიკ ჰარპერის წასვლის შემდეგ „ორლანდო" მოისაკლისებს ხეირიან გამთამაშებელს.

რას იზამენ: შეეცდებიან უფრო მეტი მოიგონ, ვიდრე წააგონ.

ბოსტონ სელტიქსი

წინა სეზონში: 36-46

ფლეი ოფი: ვერ მოხვდა

მწვრთნელი: რიკ პიტინო (კარიერაში 126-120)

მოვიდნენ: ტონი ბათი (ლეიკერსიდან); ერიკ რაილი (დალასიდან); პოლ პირსი (დრაფტიდან)

წავიდნენ: ტრევის ნაითი (ლოს ანჯელესში); ჟან ტაბაკი, თაიუს ედნი (ორივე — უგუნდოდ)

სიძლიერე: ახალგაზრდული ჟინი და სულისკვეთება. გუნდი, ფაქტიურად, შარშან ჩამოყალიბდა საკმაოდ კარგი მწვრთნელის რიკ პიტინოს ხელში. გუნდის ლიდერია ანტუან უოქერი, რომელიც წლიდან წლამდე უმატებს. კარგი მოთამაშეები არიან უკანახაზელები რონ მერსერი და კენი ანდერსონი, რომელთაც წლეულს მეტს მოთხოვენ.

სისუსტე: გამოუცდელობა. ბოსტონელთა ახალგაზრდობა მათ სისუსტედ შეიძლება ჩაითვალოს. „ბოსტონს" არ ჰყავს რიგიანი ცენტრი და, საერთოდ, ეს გუნდი უფრო მომავლის გუნდია.

რას იზამენ: შეეცდებიან დივიზიონის ცხრილის შუაში დამკვიდრებას.

ფილადელფია 76

წინა სეზონში: 31-51

ფლეი ოფი: ვერ მოხვდა

მწვრთნელი: ლარი ბრაუნი (კარიერაში 655-631)

მოვიდნენ: მეტ გეიგერი (შარლტიდან); ჰარვი გრანტი (ვაშინგტონიდან); ჯორჯ ლინჩი (ვანკუვერიდან); მირსად თურქჯანი, ლარი ჰიუზი, ნაგრ მუჰამედი (ყველა — დრაფტიდან)

წავიდნენ: დერიკ კოულმენი (შარლოტში); ჯო სმიტი (მინესოტაში); კებუ სტიუარტი (ატლანტაში); დუგ ოვერტონი (ორლანდოში); მარკ დევისი, ბრაიან შოუ (ორივე — უგუნდოდ)

სიძლიერე: გუნდში რამდენიმე პერსპექტიული ახალბედა მოვიდა, რომელთა შორის აღნიშვნის ღირსია თურქეთის ნაკრების ლიდერი მირსად თურქჯანი. გუნდს ჰყავს კარგი მწვრთნელი, გამოცდილი და მკაცრი ლარი ბრაუნი და პერსპექტიული ვარსკვლავი, გუნდის ლიდერი თავნება ალენ აივერსონი, რომელიც წლეულს შარშანდელზე უკეთ გარჯას გვპირდება.

სისუსტე: ისედაც საშუალოზე სუსტმა გუნდმა ორი ვარსკვლავი დერიკ კოულმენი და ჯო სმიტი გაუშვა. ახალი შენაძენი, ცენტრი მეტ გეიგერი კი სულაც არაა გაუვალი კედელი.

რას იზამენ: დაირაზმებიან აივერსონის გარშემო.

ჰოლიფილდმა ხელთათმანები მოიკიდა

ხვალ ჰიუსტონში დიდი ამბით გაიხსნება ევანდერ ჰოლიფილდის საწვრთნელი ბანაკი. ეს კი ნიშნავს, რომ იგი ოფიციალურად იწყებს ვარჯიშს წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ორთაბრძოლისთვის.

13 მარტს, ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ ჰოლიფილდი თავის კუთვნილ ფედერაციისა (**IRF**) და ასოციაციის (**WBA**) ქამრებს დასდებს ლენოქს ლუისის საბჭოს (**WBC**) ქამრის წინააღმდეგ, რის შედეგადაც გაირკვევა მძიმე წონის გაერთიანებულ ვერსიათა ჩემპიონი.

ევანდერ ჰოლიფილდი

სარგებელის არქივიდან

საწვრთნელი ბანაკის გახსნამდე ორი დღით ადრე, პრესკონფერენცია გამართა ჰოლიფილდის მწვრთნელმა დონ ტარნერმა. ეს პრესკონფერენცია სხვა არაფერი იყო, თუ არა ლენოქს ლუისის კრიტიკა, მის ნაკლოვანებათა დასაბუთება და ჰოლიფილდის ხოტბა-დიდება.

„ევანდერი ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ტაისონთან პირველი შეყრის დროს“, — თქვა ტარნერმა — „ეჭვი არ მეპარება, რომ ლუისი კარიერის საუკეთესო ბრძოლას გამართავს, მაგრამ ევანდერიც ასევე საუკეთესო ბრძოლისთვის ემზადება. საუკეთესო ევანდერი კი ბევრად მეტია, ვიდრე საუკეთესო ლუისი“.

შემდეგ ტარნერს ჰკითხეს, რას იტყვით გავრცელებული შეხედულების გამო, რომ ლუისი უჯიგრო კაციაო.

„არა, როგორ ვთქვა უჯიგროაო?“ — გაიკვირვა ტარნერმა — „ჩემპიონი კაცია. უჯიგრო კი არა, უფრო გულცივი ეთქმის და ამას ბევრი იყენებს“.

ლენოქს ლუისი

სარგებელის არქივიდან

თუმცა, ლუისის „გულცივობა“ ბევრს არავის გამოუყენებია, 34 გამარჯვება (27 ნოკაუტით) და ერთადერთი მარცხი — ასეთია ლუისის საკარიერო შედეგი.

REUTERS მაიამიდან

შორეული სუპერბოული

ამერიკული სანახაობა ქალების გარეშე როგორ იქნება...

REUTERS მაიამიდან

რიგით ოცდამეცამეტე სუპერბოულში, მაიამიში რომ გაიმართა 31 იანვარს, დენვერელმა „ბრონკოებმა“ 34:19 მოუგეს ატლანტელ „ფელკონებს“ და ჩემპიონთა ტიტული შეინარჩუნეს.

სააგენტოს ეს ცნობა ეგებ ბევრის არაფრისმთქმელი იყოს ჩვენებური მკითხველისათვის, მაგრამ ამერიკაში, კვირა დღე იყო სწორედ რომ სუპერბოულისა და ტელევიზორთან ჯდომისა. ბედნიერნი სტადიონზე მოხვდნენ მობურთალ გლადიატორთა საცქერლად და საქომაგოდ, ოდნავ ნაკლებად ბედნიერნი კი ოთხსაათიან ტელერეპორტაჟს დასჯერდნენ. შეიჭამა მრავალი ჰამბურგერი, დაილია დეკალიტრობით „კოკა“ და „პეპსი“, გაისარჯნენ ჩირლიდერები და გამოჩენილმა ადამიანებმა საპატიო ლოჟიდან უქომაგეს სუპერბოულის მებრძოლებს. სტივ უონდერმა და გლორია ესტებანმა (ქვედა ფოტოზე) „ბრონკოებსა“ და „ფელკონებს“ უმღერეს, დენვერში კი დიდი სახალხო დროსტარება გაიმართა. „ბრონკოთა“ შორის საუკეთესო იყო ლეგენდარული ქვოთერბექი ჯონ ილვეი, რომელსაც თექვსმეტი სეზონი გაუტარებია ბურთაობაში და შარშან გადადგომაც გადაეწყვიტა.

ბრძოლა კი მართლაც ფიცხელი იყო. ამას ფოტოც ადასტურებს: კვირა საღამოს სანიმუშო დაცვის გამწევი დენვერელები დარენ გორდონი და ბილ რომანოვსკი, ბურთჩაბღუჯულ ატლანტელ ქვოთერბექს კრის ჩენდლერს ასამარებენ (ზედა ფოტოზე).

რუსებმა პრაღა დაიპყრეს

REUTERS პრაღიდან

არა, ბატონებო, 1968 წელს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში ნითელი არმიის ტანკებით დატრიალებულ ავ საქმეზე არ მოგახსენებთ — ფიგურულად მოსრიალეთა ევროპის ჩემპიონატზე რუს ფიგურისტთა მართლაცდა ჩინებულ გამოსვლაზე გვინდა გითხრათ — სპორტულ წყვილებში და კაცთა შეჯიბრში რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ბადალი არ ჰყავდათ, ამაზე უკვე გაუწყეთ, აი, ჩემპიონატის ბოლო დღეს რომ ცეკვებშიც და ქალთა ტურნირშიც ტოლი არავის დაუდეს, ესღა დაგვრჩა სათქმელი.

მაშ, ასე — ცეკვებში ოქროს მედლები ანჟელიკა კრილოვასა და ოლეგ ოვსიანნიკოვის (ფოტოზე) დუეტმა მოიპოვა, ვერცხლი ფრანგებმა მარინა ანისინამ და გენდალ პეიზერამ ირგუნეს (ანისინა როგორი ფრანგია, თავადაც მიხვდებით), ბრინჯაოც რუსებს, ირინა ლობაჩევასა და ილია ავერბუხს დარჩათ.

ქალებშიც პირველი სამეული რუსული იყო — ოქრო მარია ბუტირსკაიას, ვერცხლი ვიქტორია ვოლკოვას, ბრინჯაო იულია სოლდატოვას ერგოთ.



REUTERS ბარსელონიდან

ოცდახუთი წლის შემდეგ

ეს იყო ოცდახუთი წლის წინათ მიუნხენში: მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის პირველი ტაიმი რომ დასრულდა, გერმანელ მცველთაგან ტანჯული იოჰან კრუიფი გასასდელისკენ დაძრულ მსაჯს, ინგლისელ ჯეკ ტეილორს მიეჭრა და მწარე სიტყვების წარმოთქმა დაიწყო. ტეილორს ბევრი არ უფიქრია, წამსვე ყვითელი ბარათი იძრო.

ეს იყო ოცდახუთი წლის შემდეგ: ბარსელონაში წლის საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოვების ცერემონიალისას, ფეხბურთის დიდების დარბაზში მიიღეს იოჰან კრუიფი (ფოტოზე მარჯვნივ) და ფრენკ ტეილორი. ტეილორმა, როგორც ჭეშმარიტმა ინგლისელმა, იცის ხუმრობის ფასი: ყვითელი ბარათი ადრევე მოემარაგებინა და დაუნანებლად უჩვენა კრუიფს. ოღონდ, ამჯერად ხუმრობით.

REUTERS მაიამიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორაიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29